სო მხალად ითვლება იმ დროს, როდესაც თელავთან ახლოს მდებარე სხვა სოფ-
ლების მცხოვრებნი მას ვერც კი სცნობენ. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ
სახეობა სპორადულად ვრცელდება.

მისი ახალგაზრდა კიდედახვეული ფოთლები მოხარშული და შეზავებული
ძმრითა და ნიგვზით საუკეთესო საჭმელს წარმოადგენს.

Urtica dioica L. — ქინჭარი

კრეფენ ნორჩ ყლორტებს. ყრიან აღუღებულ წყალში, იხარშება ვიდრე ღე-
რო თითებს შუა ადვილად მოისრისებოდეს. მოხარშვის შემდეგ წურავენ ისე, რომ



წყალი მკირედ შეჰყვეს. კაზმავენ შემწვარი ხახვით, ერბოთი და კვერცხით სინტრთან ერთადაც ხარშავენ.

ჭინჭარი იზრდება საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, რუდერალურ ადგილებში და აგრეთვე ტყის პირებში. თელავის რაიონში იგი ყველგან გვხვდება.

მოხარშულისა და სათანადოდ შენელებული მხალეთლის გარდა, არის მცენარეები, რომლებიც საკმელად ახლადმოკრეფილი, ყოველგვარი შემზადების გარეშე იხმარება.

ასეთ მცენარეებს ბარში მოსახლე ხალხი, ფშავსა და ხევსურეთთან შედარებით, ნაკლებად ეტანება. შეიძლება იმიტომაც, რომ ისინი უზრუნველყოფილნი არიან ხილითა და მწვანილით. თელავის რაიონში ასეთ მცენარეებს ეკუთვნის:

Agasyllis latifolia (MB) Boiss.

კახეთის მოსახლე ფშაველები და თუშები დუცს ეძახიან. მათი გადმოცემით იგი დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს, ჰამენ ახალგაზრდა მცენარის კანგაცლილ ღეროს. იზრდება სუბალპურ სარტყელში. ჩვენ თორღვას აბანოს მიდამოებში შევკრიბეთ.

Arunce vulgaris Raf. — მეკენძელა

ფშაველები ამ მცენარეს მონადირის მხალს უწოდებენ. ჰამენ ნორჩ ფოთლებს.

მთელ საქართველოში გავრცელებული მცენარეა. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლის ტყეებში. შევკრიბეთ თორღვას აბანოს მიდამოებში.

Campanula lactiflora MB. — კენკეშა

მეტად მიღებული საკვები მცენარეა. ჰამენ ახალგაზრდა გაფცქნეულ ღეროს აყვავებამდე.

იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში. შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Chaerophyllum caucasicum (Fisch.) B. Schischk. — ღიმა.

კახელები მას ყინტორას ეძახიან, თუშები ხიფხოლას, ხოლო ფშაველები ხიფხელის ყივას. ჰამენ უმთავრესად მცენარის მიწისზედა ნაწილს. საკმელად მიწისქვედა გამსხვილებული ნაწილიც გამოიყენება.

Chamaemerium angustifolium (L.) Scop. — თხაწართხალა. ჰამენ მის ფესვებს.

Heracleum asperum MB. — შუპყა

თუშები და ფშაველები დიეს უძახიან. ჰამენ ახალგაზრდა მცენარის კანგაცლილ ღეროს. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, ტყის პირებში, სუბალპურ მაღალბალახეულობაში, შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Libanotis transcaucasica B. Schischk. — სასუტკა

თუშები რძეში ამოვლებულს ჰამენ. შეკრებილი გვაქვს შალაქნაფუძარის მთიდან.



Phytolacca americana L. — ქიფურა
შედარებით ნაკლებად ნორჩ ფოთლებს ჰამენ. ძირითადად გავრცელებულია
დასავლეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში. იზრდება ტყეში, ტყის პირებ-
ში. ჩვენ შევკრიბეთ ბაწარას ხეობაში.

Polygonum panjutinii Chark. — წართხალი
თუშები მცენარის გაფუჭვნილ ღეროს რქეში ამოვლებულს ჰამენ.

Primula—ტყის ფურისულა.

თუშები ვაშლისუნას ეძახიან. ჰამენ ფოთლებს. შეკრებილი გვაქვს თორ-
ღს აბანოს მიდამოებიდან.

Rumex scutatus L. — ლახტარა.

სარეველა მცენარეა. ჰამენ ნორჩ ფოთლებსა და ყლორტებს.

Sorbus caucasigena Kem. — ცირცველი

ნაყოფს ჰამენ. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.
იზრდება სუბალპური სარტყლის ტყეებში. ჩვენ შევკრიბეთ თორღვას აბანოს
მიდამოებში.

მცენარეების გამოყენებას ხალხურ მედიცინაში დიდი ხნის ისტორია აქვს.
ამის შესახებ საკმაო ისტორიული ცნობები, თქმულებები, თუ ლეგენდები
არსებობს.

არსებული ლიტერატურული წყაროების თანახმად, ძველ ეგვიპტეში 4000
წლის წინათ ჩვ. წ. ა., ხოლო უფრო გვიან 3000—2000 ჩ. წ. აღ-მდე ჩინეთში
ინდოეთსა და საბერძნეთში ცნობილი ყოფილა მრავალი სამკურნალო თვისებე-
ბის მქონე მცენარე, რომელსაც ხელოვნურადაც აშენებდნენ.

ლიტერატურული წყაროების თანახმად, საქართველოში სამკურნალო მცე-
ნარეების გამოყენების ერთ-ერთ უძველეს ადგილად ძველი კოლხეთი ით-
ვლება. ამის შესახებ აღნიშნავენ საბერძნეთის ექიმი ჰიპოკრატე (1460 —
356 ჩ. წ. აღ-მდე), [13] რომის პოპულარული ექიმი პენალი დიოსკორიდი
(I საუკ.) და მრავალი სხვა.

ძველ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ხელოვნურად მოშენების შე-
სახებ შესანიშნავ მასალას წარმოადგენს აპოლონიოს როდოსელის თქმულება
„არგონავთებზე“. მისი ბერძნულიდან მთარგმნელი ა. ურუშაძე ქართული თარგ-
მნისათვის დართულ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მიუხედავად უამრავი
ზღაპრული ელემენტებისა, არგონავთების თქმულება დაკავშირებულია ისტორი-
ულ ფაქტებთანაც.

ხალხური მედიცინა საქართველოში უფრო გვიან პერიოდშიც საკმაოდ იყო
განვითარებული. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი თხზულება, რო-
მელშიაც შეკრებილია იმ პერიოდში საქართველოში და მეზობელ ხალხებში ხმა-
რკებული სამკურნალო საშუალებები, რომელთაგან დიდი ნაწილი სამკურნალო
თვისებების მქონე მცენარეებს უკავიათ.

სამკურნალო მცენარეების ხალხურ ყოფაში ფართოდ გამოყენების მიზნით,
ხალხურ მკურნალთა რიცხვიც საკმაო რაოდენობით ყოფილა. სადღეისოდ კი
საქართველოში ხალხური მკურნალები აქა-იქ ღა არიან. ზ. შენგელიას დასავლეთ
საქართველოში ჩატარებული მუშაობის შედეგად აღნიშნული აქვს, რომ



ხალხური მკურნალები, რომლებიც სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეებს იყენებს, თვალსაჩინოდ არის შემცირებული. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოზე, კერძოდ თელავის რაიონზე, რომელიც ჩვენი შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა.

სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეები:

Achillea millefolium L. — ფარსმანდუკი

კახელები და ფშაველები ამ მცენარეს მელიკუდას ან მელისკუდას ეძახიან და არჩევენ ფერის მიხედვით — ყვითელი მელიკუდა, თეთრი მელიკუდა.

ზოგიერთნი ფოთოლს ჭრილობაზე დასაღებად ხმარობენ, ზოგნი კუჭის აშლილობის დროს; თუშები დაეყვილ მცენარიდან გამოდენილ წვეს წყლულზე იღებენ, ალბათ ამიტომაც ამ მცენარეს „წყლულის ბალახსაც“ ეძახიან.

იზრდება მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის. შეკრებილი გვაქვს სოფ. ბირკიანის მიდამოებიდან.

Agasyllis latifolia (M. B.) Boiss. — დუცი

ფშაველები ღეროს შიგნითა გულს ქამენ სხვადასხვა დაავადებათა თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე გულის ტკივილის დროსაც.

Agrimonia eupatoria L. — ბირკავა

ფოთლებისაგან ჭიის გამომდენ, თირკმლების ტკივილისა და სიყვითლის საწინააღმდეგო წამალს ამზადებენ.

Allium cepa L. — ხახვი

შემწვარი ხახვი იხმარება ჩირქოვანი მუწუთის გამოსარწყავად.

ხახვის ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოყენების შესახებ მრავალი ლიტერატურული წყარო არსებობს.

Allium ursinum L. — ლანძილი

მადის მომგვრელ და საჭმლის უკეთ მონელების საშუალებას წარმოადგენს. ძველთაგანვე იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ. მთიელები ცოცხალ წამალსაც უწოდებენ.

Althea officinalis L. — ტუხტი

მცენარის ნახარშს ხველების წინააღმდეგ და კუჭის აშლილობის დროს იყენებენ, ფესვისაგან დაყენებულ ნაყენს კი სიცხის დასაწევად.

Arctium lappa L. — ოროვანდი

კახელები ძირხვენას უწოდებენ და ცნობილია, როგორც საუკეთესო სამკურნალო მცენარე. ძირხვენას დანაყილ ძირებიდან გამოწურულ წვეს კუჭის ტკივილის დროს მიიღებენ, ზოგჯერ ანწლის ძირთან ერთადაც ხმარობენ.

იზრდება ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებში, მთის შუა სარტყელში.

Aristolochia iberica (F. et M.) Boiss. — ძირმწარა

ზარავანდსაც უწოდებენ. ფესვიდან გამოწურულ წვეს ღრძილების ტკივილისა და სურავანდის დროს ხმარობენ.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით ხალხურ ყოფაში მისი გამოყენება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს.

იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში. შეკრებილი გვაქვს ბაწარას ხეობიდან.

Artemisia vulgaris L. — მამულა

ფშავლები და თუშები მყარა ბალახს უწოდებენ და ნახარშს რევმატიზმების დროს ხმარობენ. ოსები იგივე მცენარეს გვირილას ეძახიან და მოხარშულს შაქარმიმატებულს ბუასილოს საწინააღმდეგოდ იყენებენ.

იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყის პირებზე. მდინარის ნაპირებზე. ზოგჯერ როგორც სარეველა.

შეკრებილი გვაქვს არგოხისა და ბირკინის მიდამოებში.

Campanula alliariaefolia (M. B.) D. Sosn. — ბუსკანტურა
დაეეცილი მცენარე კარგია წყლულზე დასადებად. გავრცელებულია მთელ საქართველოში. შეკრებილი გვაქვს ილტოს ხეობიდან.

Centaurium umbellatum Gilib. — ასისთავა

დედამიწის ნალექლას ეძახიან. ფოთლის ნახარშს ლვიძლის ტკივილის დროს ხმარობენ. შეკრებილი გვაქვს ბაწარას ხეობაში.

Cichorium intybus L. — ვარდკაჭაჭა

ბოტანიკურ ლექსიკონში ვარდკაჭაჭას კუთხური სახელწოდება კახეთისათვის ულუწელაა. ზოგიერთი კახელი „კოკლამაზა“-ს უწოდებს. ეს სახელწოდება ბოტანიკურ ლიტერატურაში არსად შეგვხვედრია. მცენარის ნახარში კუჭის აშლილობის დროს იხმარება.

იზრდება რუდერალურ ადგილებში, საცხოვრებელი ბინების მახლობლად, ტყის პირებზე.

შეკრებილი გვაქვს თელავის მიდამოებიდან.

Daphne mezereum L. — მაჯალვერი

მთიულები ძუძუმყარალას უწოდებენ. მცენარის ქერქს ჩირქის გამოდენს საშუალებად ხმარობენ.

იზრდება სუბალპური ტყის სარტყელში. შეეკრიბეთ თორღვას აბანოს მიდამოებში.

Digitalis ferruginea L. — ფუტკარა

შხამიანი მცენარეა. მცირე რაოდენობით შედის სხვადასხვა ბალახთა შემადგენლობაში, რომელსაც მუცლის ტკივილის დროს იყენებენ.

შეკრებილი გვაქვს თელავის მიდამოებში.

Dipsacus pilosus L. — გოქშო

მაღალი სისხლის წნევის დროს ავადმყოფს მის ნახარშში აბანავენ, ოსების გადმოცემით ასეთი დანიშნულების ვარდა, ჭრილობიდან სისხლის შემაჩერებელ საშუალებასაც წარმოადგენს.

შეკრებილი გვაქვს თეთრიწყლების მიდამოებიდან.

Equisetum sp. — შვიტა

თელავის რაიონში ზოგჯერ ჯორის ძუასან ცხენის ძუასაც უწოდებენ. ხმარობენ გაციებულთათვის სიცხის დასაწვეად, აგრეთვე ლვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს. ზოგიერთი კუჭის ტკივილის დროსაც ლეზულობს.

იზრდება ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში. შეკრებილი გვაქვს თურღოს ხეობიდან.

Euphorbia Boissieriana (G. Wor.) Prokhh. — რძიანა

მისი რძეწვენი კარგია სახის ჭორფლისა და ლაქების მოსაცილებლად, აგრეთვე ქავანის დროს და კანის ქერცლის წინააღმდეგ. ფშავლები კუჭის შემკვრელ თვისებასაც აკუთვნებენ.



შეკრებილი გვაქვს მალრანის მიდამოებიდან.

Gentiana cruciata L. — ნალველა

თუშები მწარის ეძახიან. ღრძილების დაავადების დროს ნახარშს პირში ივლებენ, ხოლო პირისახის დასიების დროს დასველებულ საფენებს იდებენ.

შეკრებილი გვაქვს პანკისის ხეობაში.

Gnaphalium caucasicum L. — ბერულა

ღრძილების ტკივილის დროს ხმარობენ. იზრდება ტყის ზედა და ალპურ სარტყელში.

Gnaphalium silvaticum L. — კახელებში ავრეთვე ბერულას სახელწოდებითაა ცნობილი და იგივე დანიშნულებით იხმარება. შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებიდან.

Hypericum perforatum L. — კრაზანა

მცენარის ნახარშს სიცხის დასაწევად ხმარობენ, ზოგიერთი კუჭის გასაწმენდად, საერთოდ კი ყველგან ცნობილია, როგორც ჭრილობის შესასხორცებელი საუკეთესო საშუალება.

შეკრებილი გვაქვს ნაფარეულის მიდამოებში.

Hypericum ptarmicifolium Spach.

კახელების გადმოცემით ეს მცენარე წარმოადგენს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სხვადასხვა ბალახისაგან დამზადებულ წამლისა კუჭის აშლილობის დროს.

შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Impatiens noli-tangere L. — უკადრისა

ფოთლის ნახარში თირკმლების დაავადების დროს იხმარება.

გავრცელებულია საქართველოს მრავალი რაიონის დაჩრდილულ ტენიან ადგილებში ტყის საფარის ქვეშ, ბუჩქებს შორის. შეკრებილი გვაქვს ბაწარას ხეობიდან.

Juglans regia L. — ჩვეულებრივი კაკალი

კაკლის უღელი მოხარშული—ხველების დროს მიიღება. ყვავილი კი კუჭის აშლილობის დროს.

Leonurus villosus Desf. — შავბალახა

ანწლის ძირთან ერთად ნახარშით, სახსრების ტკივილის (რევმატიზმების) დროს, აბაზანებს ღებულობენ. ზოგიერთნი შავბალახას ნახარშს რაიმე ნაწყენისა და მოწამელის შემთხვევაში სვამენ.

შეკრებილი გვაქვს თელავის მიდამოებში.

Leucanthemum vulgare (L.) Lam. — მინდვრის გვირილა

ყვავილის ნახარშს ჭიების გამოსადენად და თვალების დაავადების დროს ხმარობენ.

Malva silvestris L. — ბალბა

შაბშიმატებულ დანაყულ ნედლ მცენარეს თვალების ტკივილის დროს ხმარობენ.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ძველად მას ამოსახველებელ და ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებად იყენებდნენ. მისი ნახარშით თავსაც იბანდნენ თმის გათეთრების და ქერტლის გაჩენის შემთხვევაში.

Melissa officinalis L. — ბარამბო

ნახარშს გაციებისა და ღვიძლის ტკივილის დროს ხმარობენ.



Mentha longifolia (L.) Huds. — პიტნა

მის ნაყენს გაციებულთათვის ოფლის მოსადენად და ზოგჯერ ჩაყვანილობაში
ჩაის მაგიერად ხმარობენ.

შეკრებილი გვაქვს თეთრიწყლების მიდამოებში.

Origanum vulgare L. — თავშავა

ყვავილის ნახარში გაციებულთათვის იხმარება, ზოგიერთი ხველების დროს
ლებულობს.

შეკრებილი გვაქვს ბაწარას ხეობაში.

Paliurus spina Christi Mill. — ძეძვი

ქართველ ხალხში ძეძვი ძველთაგანვე გამოყენებული სამკურნალო მცე-
ნარეა. ძეძვის ნაყოფს, რომელსაც ძეძვის ფრიალას უწოდებენ ასტმის დროს და
თირკმლების დაავადების შემთხვევაში ხმარობენ. ამავე დანიშნულებით ძეძვის
ქერქისა და ფოთლების ნახარშსაც ხმარობენ.

შეკრებილი გვაქვს გრემის მიდამოებიდან.

Phytolacca americana L. — ჭიაფერა

ფშავლები ფესვიდან გამოწურულ წვეს მუცლის ტკივილის დროს იყენე-
ბენ, არაყურეთულს კი რევმატიზმების დროს სვამენ.

Physalis alkakengi L. — ონტკოდა

დუღლუბოსაც ეძახიან. ფოთლს სისხლის დენის შესაჩერებლად და კრი-
ლობების შესახორცებლად ხმარობენ. მცენარის ნახარშს კი რევმატიული ან-
თებისა და შარდის დამდენ საშუალებად იყენებენ. ონტკოდას ნაყოფს ქიის გა-
მოღენის მიზნით ბუნებებს აჭმევენ.

იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, ტყეებში, ბალახებში,
ბოსტნებსა და ვენახებში.

შეკრებილი გვაქვს სტორის ხეობაში.

Plantago lanceolata L., *Plantago major* L. —

მრავალძარღვა

ხევესურები და ფშაველები ძაღლის ენას და ცხრაძარღვასაც უწოდებენ.
ფოთლების ნახარში ღვიძლისა და კუჭის ტკივილის დროს იხმარება. ფოთლებს
აგრეთვე მუწუქისა და ხაკბენის მოსაშუშებლადაც ხმარობენ.

Plumbago europaea L. — ტყვია ბალახა

ფესვიდან გამოწურული წვენი კბილის ტკივილის დროს იხმარება.

Polygonatum glaberrimum C. Koch — სვინტრი

სვინტრის ძირს რძეში მოხარშულს კუჭის ტკივილის დროს იყენებენ. დაჩეჩ-
ქვილ ძირს ნაღრძობზე დასადებადაც ხმარობენ. ზოგიერთი სვინტრის ფოთოლს
მუწუქის გამოსარწყავად იყენებს.

Polygonum nodosum Pers. — წითელი წალიკა

ფშავლები ციციყურასაც უწოდებენ და დანაყილ ფოთოლს წყლულის
მოსარჩენად ხმარობენ.

Pyrethrum roseum M. B. — წითელი გვირილა

ახელები რწყილის წამალს, თუშები სარწყილას, ფშავლები წითელ ბუ-
ლულას ეძახიან. ყვავილს ახმობენ და დაფშენილს მავნე მწერების მოსასპობად
ხმარობენ.



იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, მაღალბალახეულობებში.
შეკრებილი გვაქვს აღმართელთაჟღერა მთის ფერდობზე.

Quercus iberica Stev. — ქართული მუხა
მუხის რკოს შიგნითა ნაწილს გულის ტკივილის დროს ხმარობენ.

Reseda lutea L. — ყანის კლეკი
ფოთლებისა და ფესვების ნახარში გაციებულთათვის ოფლის მომდენ და შარდამდენ საშუალებას წარმოადგენს.

შეკრებილი გვაქვს მთა ცივის მისასვლელთან.
Rhododendron caucasicum Pall. — დეკა
დეკას გამშრალი ფოთლისაგან დაყენებული ჩაი თირკმლებისა და ღვიძლის დაავადების დროს იხმარება. ხშირად დეკას ყვავილისაგან დაყენებულ ჩაის, ჩვეულებრივი ჩაის მაგიერადაც სვამენ. ფოთლებისა და ყვავილების ნახარშისაგან რევმატიზმების დროს აბაზანებსაც ღებულობენ.

საქართველოს ყველა მაღალმთიან მხარეში გვხვდება, სადაც თავისებურ ფორმაციებს — დეკიანებს ქმნის. შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Rubus Buschii (Rosan.) Grossh. — ყოლო
ნაყოფი გაციების დროს ოფლის მომდენ საშუალებას წარმოადგენს. ჰამენ ხილდაც. ზოგიერთი ღვაფას ეძახიან, ზოგი ყოლსაც.

იზრდება ყველა მთიან რაიონში.
შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებიდან.

Salvia glutinosa L. — შალამანდილი
ნახარში შარდის ბუშტის ტკივილის დროს მიიღება. ფშავლები მას თაფლანასაც უწოდებენ. შეკრებილი გვაქვს თეთრი წყლების მიდამოებში.

Sambucus ebulus L. — ანწლი
ფოთლებისა და ფესვის ნახარშით რევმატიზმებს მკურნალობენ. ზოგჯერ სხვა მცენარესთან შერეულსაც ხმარობენ.

ფშავლები ნაყოფიდან არაყს ამზადებენ, რომელსაც უშუალოდ სასმელად და სამკურნალოდაც იყენებენ.

ფართოდ გავრცელებული მცენარეა. შეკრებილი გვაქვს გრემის მიდამოდან.
Sambucus nigra L. — დიდგულა

ხმარობენ გაციების დროს.
იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეებში, ტყის პირებსა და მდინარეთა ხე-გეგბში. შეკრებილი გვაქვს ილტოს ხეობიდან.

Scleranthus polycarpus L. — წიაბა
კახელები მუტლის ტკივილის და, განსაკუთრებით, საჭმლის უკეთ მონელებისათვის ხმარობენ.

შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებიდან.
Sisymbrium officinale (L.) Scop. — ღორღორა

ფოთლებისა და თესლის ნახარში შარდისდამდენ და ქვის გამომდენ საშუალებად მიაჩნიათ.

იზრდება საცხოვრებელ შენობებთან, გზის პირებზე, ღობეებთან, რუდერალურ ადგილებში. შეკრებილი გვაქვს თელავის მიდამოებიდან.

Smilax excelsa L. — ეკა ლლიქი
ფოთლებს კრილიზებზე დააადებად ხმარობენ.



Stachys silvatica L. — ყვანჩალა

ფოთლების ნახარში შარდისდამდენ და გულისასარეე საშუალებას გეხს.

Thymus caucasica W. — ბეგქონდარა

თუშები ველთქონდარას უწოდებენ და ჭიების საწინააღმდეგო სამკურნალო მცენარედ თვლიან. მეორე სახეობა *Thymus coriifolius* Ronn. კახეთში ბეგქონდარას სახელითაა ცნობილი და იგივე დანიშნულებით გამოიყენება.

საერთოდ ცნობილია რომ გვ. *Thymus*-ის ყველა სახეობა შეიცავს სხვადასხვა შემადგენლობის ეთეროვან ზეთს, ზოგიერთი მათგანი ვარდისა და ლიმონის სურნელებით ხასიათდება და გამოიყენება ლიქიორებისა და სხვადასხვა სასმელის დამზადების საქმეში. კარგი თაფლოვანი მცენარეა, ზოგჯერ იხმარება როგორც ჩაის სუროვატი.

Tilia caucasica Rupr. — ცაცხვი

ნაყოფიდან და ყვავილიდან დაყენებული ჩაი გაცუებულთათვის გამოიყენება. ხშირად ხველებისა და გულის ტკივილის დროსაც ეღებულავენ. ცაცხვის ყვავილი ჩვეულებრივი ჩაის მაგივრადაც იხმარება.

Urtica dioica L. — ჭინჭარი

ფოთოლს ჭრილობის შესახორცებლად და სახსრების ტკივილის დროს ხმარობენ.

Vaccinium myrtillus L. — მოცივი

ფშავლები სელშავს, ზოგჯერ შალშავს, ხოლო თუშები უოლის უწოდებენ. მის ცოცხალ ნაყოფს ხილად მიირთმევენ. გამშრალ ნაყოფს კი კუჭის აშლილობისა და გაციების დროს ხმარობენ.

შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Valeriana officinalis L. — კატაბალახა

კახეთში გულდბანსაც უწოდებენ. მცენარეს ხველების დროს და ჭიის დასადენად ხმარობენ. ფესვიდან გამოწურული წვენი სიცხის დასაწვეად იხმარება. შეკრებილი გვაქვს ილტოს ხეობაში.

საღებავი მცენარეები

მცენარეს ადამიანი იყენებს როგორც საკვებად და სამკურნალოდ, ასევე საღებავადაც.

ლიტერატურული წყაროების თანახმად ინდოელებსა და ჩინელებს სამღებრო საქმე ძველთაგანვე იმდენად კარგად ჰქონიათ განვითარებული, რომ მათ უკვე შეეძლოთ ქსოვილების არამც თუ ერთ ფერად, არამედ სხვადასხვა ფერად მოხატვა. ი. ილინი აღნიშნავს, რომ „ინდოელებისა და ჩინელების კულტურა შორეულ წარსულში იმდენად მაღლა იდგა, რომ იგი აღარ ვანიცილდა შემდგომში ძლიერ განვითარებას და უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალი ათასწლეულის გავლის მიუხედავად ის დაახლოებით ისეთივე საფეხურზე იყო, როგორც დღეს გვხვდება“ [34].

სამღებრო საქმე კარგად ყოფილა განვითარებული ძველ სპარსეთსა და ეგვიპტეშიც. შემდეგ თანდათანობით განვითარდა საბერძნეთში, რომელთაც XVI-XV ს. ჩ. წ. ა.-მდე უკვე შეღებვის რამდენიმე წესი ჰქონდათ.



ბუნებრივი ორგანული საღებავები, უმთავრესად მცენარეული პიგმენტები, XIX საუკუნემდე ფართოდ იყო მიღებული, ვიდრე რუნგემ არ აღმოაჩინა მათი ლინი, ხოლო ზინინმა მისი სინთეზი.

ქიმიური გზით ხელოვნური საღებავების სინთეზმა თანდათან განდევნა ორგანული საღებავები, რადგან ეკონომიურად უფრო ხელსაყრელი გამოდგა, ვიდრე მცენარეული პიგმენტი.

საქართველოში ხალხურ სამღებრო საქმეს დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც აკად. ნ. კეცხოველი აღნიშნავს, საღებავად მრავალნაირი მცენარე იხმარება, მათი რიცხვი რამდენიმე ასეულს შეადგენს.

ცნობილ გერმანელ მოგზაურს გულდენშტედენს მოცემული აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ველურად მოხარდი საღებავი მცენარეების გარდა ზოგიერთი საღებავი მცენარე ითვისებოდა კიდევ. მას უნახავს ჭიაფერა — ღვინის საფერავად, ალისარჩული — აბრეშუმის შესაღებად, ხელსაღებავი ანუ ინა ხელების შესაფერადებლად.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში ღებვის თავისებური წესი არსებობდა. ზ. შენგელიას აღნიშნული აქვს, რომ ხეცსურებსა და ფშავლებში ყველაზე მარტივი წესით შეღებვა მჭვარტლით ღებვა ყოფილა. იქვე აღნიშნავს, რომ „მართალია მჭვარტლში შეღებვის აღარ იცვამენ, მხოლოდ ერთი კია, რომ ქსოვილს ჯერ მჭვარტლში მოაკეთებენ და შემდეგ შავად ღებვენ“ [21].

თელავის რაიონში საღებავი მცენარეები მრავალაა, ზოგიერთ სოფელში მათი გამოყენება დღესაც ფართოდაა მიღებული. ნართის ან ქსოვილის ფერი რომ უფრო ვამძღვ გამოდგეს, წინასწარ ხდება მისი დამუშავება, ადგილობრივ მოსახლეთა უმრავლესობა შესაღებ მასალას ნაცარწმენდილში რეცხავს ან ამუშავებს სხვადასხვა ხსნარში, რომელსაც შაბით, რკინის აჯასპით ან შაბიანით ამზადებენ, ზოგჯერ ამ ხსნარებს ღებვის პროცესშიც უმატებენ.

შესაღები ნივთიერების მისაღებად ამა თუ იმ მცენარის ფოთლებს, ყვავილებს, ღეროს, ნაყოფს თუ ფესვს დაჭრიან წვრილად ან დაჩეჩქავენ და ხარშავენ დიდ ჭურჭელში, უმეტესად წვიმის ან მდინარის წყლით. როდესაც ხსნარში საღებავი გაცივდება და დაილექება, გადაიღებენ სხვა ჭურჭელში და ნელ ცეცხლზე აორთქლებენ, შესქელებამდე.

Agrimonia eupatoria L. — ბირკავა

ყვავილები ყვითლად ღებავს.

Allium cepa L. — ხახვი.

ხახვის ჩენჩოდან მოწითალო-ბაცი ყავისფერი საღებავი მიიღება. ხშირად სხვა მცენარეულ საღებავსაც ურევენ და გარდამავალ ფერს ღებულობენ.

Alnus incana (L.) Gaertn. — მურყანი

ქერქი ღებავს შავად.

Anchusa italica Retr. — პატარაძალა

ფესვებიდან წითელ საღებავს ღებულობენ. ა. გროსპეიმის მიხედვით წითელ ფერს ნივთიერება ალკანინი იძლევა, რომლითაც მდიდარია მცენარის ფესვი.

შეკრებილი გვაქვს თეთრი წყლების მიდამოებიდან.

Anthyllis lachnophora Juz. — კურდღლის ბალახი

ღებავს ლურჯად.



Aruncus vulgaris Rof. — მეკენძალა

ფოთლებიდან მწვანე საღებავს ღებულობენ.

Atropa caucasica Krey. — შმაგა

ღებავს წითლად, ძალას მიმატებით ლურჯად. შხამიანი მცენარეა, იზრდება ტყის პირებზე, დაჩრდილულ ადგილებში, მთის შუა სარტყლის ტყეებში.

Berberis vulgaris L. — კოწახური

ფესვიდან მოჭროსფრო-ყვითელი ფერის საღებავს ღებულობენ.

Betula Litwinowii A. Dol — თეთრი არყი

საღებავ ნივთიერებებს მისი ფოთლები და ჭერტი შეიცავს. იყენებენ გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში. რკინის აჯასპის მიმატებით მოშავო ფრად ღებავს.

გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. შეკრებილი გვაქვს სტორის ხეობიდან.

Carpinus caucasica A. Groosh. — რცხილა

ჭერტის შიდა ნაწილი მუქ ყავისფერს იძლევა. მისი ფოთლები მთრიშლავ ნივთიერებას შეიცავს.

საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული. შვედროვილი გვაქვს თეთრი წყლების მიდამოებიდან.

Cephalaria gigantea (Led.) E. Bobr. — სკიბალო

თუშები საყვითარს ეძახიან. ყვავილები ღებავს ყვითლად.

შეკრებილი გვაქვს გომბორის გადასავალზე.

Chenopodium foliosum (Moench.) Asch. — მათუთა

ფოთლები და ღეროები წითელი ფერის საღებავს იძლევა, რითაც ძირითადად შალუულს ღებავენ.

Circea lutetiana L. — თეორძირა

ფესვი ყვითლად ღებავს. ამ მცენარის საღებავად გამოიყენება ფშავლებში უძველესი დროიდან მომდინარეობს.

Consolida orientalis (J. Gay.) Schrod. — ყანის სოსანი

ყვავილი ლურჯად და იისფრად ღებავს. იღებება ძირითადად აბრეშუმის ქსოვილი.

Cotinus coggygria Scop. — თრიშლი

ყვითელი ფერის საღებავს ღებულობენ, ხოლო რკინის აჯასპის მიმატებით შავს.

საუკეთესო მთრიშლავი მცენარეა, რომლის ფოთლები ტანინს შეიცავს, რის გამოც უსსოვარი დროიდან გამოიყენება ტყავის შესაღებად და გამოსაქნელად. შეკრებილი გვაქვს გრემის მიდამოებიდან.

Delphinium flexuosum M. B. — ღეზურა

ყვავილი ლურჯად ღებავს.

Echium rubrum Jacq. — ძირწითელა

ფესვები წითლად ღებავს. ა. გროსკეიმი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ თუ შესაღები მასალა ჯერ სკიბალოს — *Cephalaria gigantea*-ს ყვავილში, ხოლო შემდეგ ძირწითელას ფესვებიდან მიღებულ საღებავში შეიღება, ძალიან მკვეთრი ცეცხლისფერი წითელი ფერი მიიღება.



ფართოდ გავრცელებული მცენარეა, რომელიც ბალახოვან ფერდობებზე, სუბალპურ სარტყელამდე იზრდება.

შეეკრიბეთ გომბორის გადასავალზე.

Eupatorium cannabinum L. — ვარდკანათა

ლერო, ფოთლები ლურჯად ლებავს.

Fraxinus excelsior L. — იფანი

ქერქიდან ლურჯი, შავი და ყავისფერი საღებავი მიიღება, დამოკიდებულია იმაზე თუ რა ხსნარს დაუმატებენ.

Galium verum L. — მინდვრის ნემსა

მიწის ზედა ნაწილი მწვანედ ლებავს.

Glycyrrhiza glabra L. — ძირტკბილა

ლერო ფოთლიანად მოჩალისფრო-ყვითელ საღებავს იძლევა, ფესვები კი ყავისფერს.

Hippophae rhamnoides L. — ქაცვი

კახელები ეშმაკის ფესვაც უწოდებენ. ახალგაზრდა მცენარის ყლორტები და ფოთლები რკინის აქსპის მიმატებით შავფრად ლებავს. ნაყოფები — ყვითლად.

შეკრებილი გვაქვს სტორის ხეობაში.

Hypericum perforatum L. — კრაზანა

ყვავილები და ფოთლები მოყვითალო ფერად ლებავს.

Impatiens noli tangere L. — უკადრისა

ყვავილებიდან ყვითელი ფერის საღებავი მიიღება. ძველად თმის შესაღებადაც ხმარობდნენ.

Juglans regia L. — ჩვეულებრივი კაკალი

წენგო ყავისფრად ლებავს.

Leucanthemum vulgare (L.) Lam. — მინდვრის გვირილა

კრეფენ ყვავილებს კოკრობის პერიოდში და შაბის მიმატებით მოყვითალო-მომწვანო ფერის საღებავს ლებულობენ.

იზრდება ძირითადად მდელოებზე მთის შუა სარტყელამდე.

შეეკრიბეთ თეთრი წყლების მიდამოებიდან.

Ligustrum vulgare L. — კვილო

ქერქი ყვითლად ლებავს.

Morus alba L. — ჩვეულებრივი თუთა

მერქანი და ფოთლები მოყვითალო-მწვანე ფერის საღებავს იძლევა.

Ononis arvensis L. — ფშანის ეკალი

ლერო, ფოთლები მოყვითალო-ყავისფრად ლებავს.

Origanum vulgare L. — თავშავა

მცენარე ლებავს ლურჯად, რკინის აქსპის მიმატებით — შავად.

Papaver arenarium Juss. — ყაყაჩო

ყვავილი სოსანისფრად ლებავს.

Phytolacca americana L. — ჭიაფერა

ნაყოფი ბაც იისფრად ლებავს.

Plumbago europaea L. — ტყვია ბალახი

ყვითლად ლებავს.



ლიტერატურული წყაროების მონაცემების მიხედვით მცენარე ნივთიერებას შეიცავს და ტყავის დასათრიმლაველ იხმარება.

მცენარეული
ზიზღილი

Polygonum panjutinii Chark. — წართხალი
ლებავს ყვითლად და მწვანედ.

Pterocaria fraxinifolia (Lam.) Spach. — ლაფნის ხე,
ფოთლები და ქერქი ყავისფრად ლებავს. მისი მერქანი შინაური ჭურჭლის
— კოვზების, გობების, ჯამების დამზადებაშიც გამოიყენება.

Quercus iberica Stev. — ქართული მუხა
ქერქი მოწითალო ფერის საღებავს იძლევა.

Reseda lutea L. — ყანის რეზედა
ლერო, ფოთლები ლებავს ყვითლად.

Rubia petiolaris (S. et L.) G. Wor. — ენდრო
ძირები წითლად ლებავს. ძველ საქართველოში საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ
ძირითად სავანს წარმოადგენდა. ტურნეფორის გადმოცემით საქართველო-
დან საზღვარგარეთ ყოველწლიურად დაახლოებით 2000 აქლემი ენდროს ძირით
დატვირთული მიდიოდა.

იზრდება მთის შუა სარტყელში ბუჩქნარებში.

Senecio vulgaris L. — თავყვითელა
მწვანე ფერის საღებავი მიიღება.

Sisymbrium officinale (L.) Scop. — ლორღორა
ყვითელი ფერის საღებავი მიიღება.

Solidago caucasica Kem.—Nath. — ოქროწყებლა
ბაცი ყვითელი ფერის საღებავი მიიღება. იზრდება ალპურ და სუბალპურ
მდელოებზე. შეკრებილი გვაქვს თორღვას აბანოს მიდამოებში.

Stachys silvestris L. — ყვანჩალა
მცენარის მიწისზედა ნაწილი მწვანედ ლებავს.

Taxus baccata L. — ურთხელი
ქერქი იხმარება ყვითლად ლებვისას.

Trifolium canescens Willd. — სამყურა
ყვავილები ყვითლად ლებავს.

Urtica dioica L. — ჭინჭარი

ფოთლებიდან მწვანე საღებავს ლებულობენ, ფესვებიდან კი ყვითელს.

Vicia variabilis Fr. et Sint. — ცერცველა
ბადალოსაც უწოდებენ. ლებავს ყვითლად.

Т. Д. МАГАЛАШВИЛИ

ПОЛЕЗНЫЕ РАСТЕНИЯ ТЕЛАВСКОГО РАЙОНА

Резюме

В работе дается описание съедобных, лечебных и красильных растений, которые употребляются в быту людей в Телавском районе.

В итоге изучения собранных полезных растений были выявлены такие о которых не было указано в соответствующей литературе.

Дается список растений с указанием способа их использования и местонахождением.

1. ნ. ანელი. „დროშა“ № 1, თბილისი, 1963.
2. ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941.
3. გ. გელაშვილი. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. თბილისი, 1963.
4. ვ. გულბაათიშვილი. საყვები ბალახები. თბილისი, 1915.
5. ს. ელიავა. მოკლე ცნობები ჩვენი ქვეყნის ველურად მოზარდ სამკურნალო და სხვა სასარგებლო მცენარეებზე. თბილისი, 1920.
6. რაფელ ერისთავი. მოკლე ქართულ-რუსული ლათინური ლექსიკონი, თბილისი, 1884.
7. ს. ეფრემიძე. სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 1931.
8. გ. თედორაძე. ზეთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბილისი, 1930.
9. ნ. ქეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, 1960.
10. ე. კობრეიძე. აჭარაში ველურად მოზარდი საყვები მცენარეები (მხალეული). ბათუმი, 1947.
11. ს. მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1933.
12. ალ. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1961.
13. თ. ყაუხჩიშვილი. პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1965.
14. საბა-სულხან ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.
15. დ. ოჩიაური. მასალები ფშავ-ხევსურეთის ფლორის შესწავლისათვის. თბილისი, 1965.
16. ვაპაძეა. კავკასიის კოფახურები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, თბილისი, 1949.
17. საქართველოს ფლორა. I—VIII ტ. თბილისი, 1941—1945.
18. ი. ქუთათელიაძე. სამკურნალო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში. თბილისი, 1945.
19. ე. ყიფიანი. მრავალწლოვანი საყვები ბალახების აგროტექნიკა. თბილისი, 1951.
20. ზ. შენგელია. სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 1946.
21. ზ. შენგელია. სამკურნალო მცენარე საველე. თბილისი, 1947.
22. ზ. შენგელია. საქართველოს ზოგიერთი საღებავი მცენარეები. თბილისი, 1958.
23. მ. შენგელია. ნარკევეები მედიკონის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი, 1956.
24. ნ. წუწუნაეა. მცენარე როგორც სამკურნალო საშუალება ძველ საქართველოში. თბილისი, 1959.
25. ნ. წუწუნაეა. საქართველოს სამკურნალო მცენარეები (ძირითადად ძველ საქართველოში სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეები). თბილისი, 1960.
26. ზ. კიკინაძე. ქართული მკურნალობის ისტორიიდან ქართული მკურნალობით განსწავლული ს. ცოტაძე მისი 40 წლის მოღვაწეობის ნიშნით. თბილისი, 1923.
27. ს. ხაბურზანია. პრაქტიკული სახელმძღვანელო სამკურნალო და ტექნიკურ მცენარეთა დამზადებისა. თბილისი, 1936.
28. ი. ვ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. თბილისი, 1930.
29. ი. ვ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. თბილისი, 1934.
30. Б С Э. тт. 23—24. Москва, 1953.
31. А. А. Гроссгейм. Дикие съедобные растения Кавказа. Баку. 1942.
32. А. А. Гроссгейм. Растительные ресурсы Кавказа. Баку. 1946.
33. С. Е. Землинский. Лекарственные растения СССР, Москва. 1958.
34. Н. Ильин. Курс красильного производства С. П. 1874.
35. Н. П. Иойриш. Лечебные свойства меда и пчелиного яда. Третье издание. Москва, 1956.
36. Г. К. Крейер, Пашкевич. Культура лекарственных растений. М.-Л., 1934.
37. Т. А. Кузина, И. М. Нищий. Лекарственно-техническое сырье, масляные культуры и растительные масла, Москва, 1961.



38. М. В. Культнасов. Природные растительные богатства СССР и их хозяйственное значение. Москва, 1955.
39. В. Майоров, В. Бегунова. Использование отходов виноделия для производства краски. Москва, 1962.
40. А. Н. Обухов. Лекарственные растения, сырье и препараты. Издание третье. Краснодар, 1960.
41. Н. В. Павлов. Дикорастущие пищевые растения. Москва, 1943.
42. Н. В. Павлов. Растительное сырье Казахстана. М.-Л. 1947.
43. И. И. Пантюхов. О народном врачевании в Закавказском крае. Тифлис, 1899.
44. А. Х. Роллов. Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применение. Тифлис, 1908.
45. В. В. Рюмин. Кустарное и домашнее производство минеральных, растительных красок. Киев, 1929.
46. Л. А. Уткин. Дикорастущие лекарственные растения Кавказа. Тифлис, 1939.
47. Л. А. Уткин. О некоторых дикорастущих и культурных лекарственных растениях Кавказа. Тифлис, 1921.
48. А. О. Яшвили. Народная медицина в Закавказском крае. Тифлис, 1904.
-

დ. ოჩიაური

ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაზაფხულის ფლორის
შესწავლისათვის

ფშავ-ხევსურეთის ფლორისტიკულად შესწავლისას [6] გაირკვა, რომ ალმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების გაზაფხულის ფლორათიქმის სრულიად შეუსწავლელია და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშიც არ მოგვეპოვება მასალები ამ რაიონებიდან. განსაკუთრებით ეს ითქმის გაზაფხულის მცენარეებზე, რომლებიც თოვლის დნობისთანავე იწყებენ ყვავილობას და ძალიან მოკლე დროში ასწრებენ დაყვავილებასა და თესლების მომწიფებასაც. ადრე გაზაფხულზე ცენოზის ძირითადი სახეობების განვითარებამდე რომელიმე ბოლქვოვანი ყვავდება ფერდობებზე და ხშირად ასპექტსაც ქმნის, სხვა სახეობათა გამოჩენამდე ამთავრებს განვითარების ციკლს და სწრაფადვე, თითქმის უკვალოდ ქრება, ქცევა ან ხმება.

გაზაფხულის ფლორის შესწავლის მიზნით რამდენიმე ხეობაში ჩავატარეთ მარშრუტული ხასიათის კვლევა. ვმუშაობდით არაგვის აუზში, გომბორის ქედზე, ინწობისა და ლაობტის ხეობებში, თელავის მიდამოებში — ცივის მიმართულებით და სხვა. საკვლევ რაიონში სხვა მცენარეთა ვეგეტაციის დაწყებამდე ვხვდებით ადრე მოყვავილე მცენარეებს, როგორც მთათაშუა სარტყლის ტყეებში — წიფლნარებსა და მუხნარებში, მდინარეთა ტერასებსა და ხეების გამოტანის კონუსებზე, ასევე ალპურ სარტყელში ტყისპირა ველობებსა და მდელოებზე.

ალმოსავლეთ საქართველოში ფერდობები მთების შუა სარტყლის ტყეებით არის დაფარული. როგორც ნ. კეტხოველი აღნიშნავს: „მთების შუა სარტყლის ტყე გავრცელებულია ალმოსავლეთ საქართველოში 500-დან 2150 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან, ალმოსავლეთ საქართველოში 800-დან—2250 მ-მდე, მაგრამ ქვემო და ზემო საზღვარი ურყევი არ არის, იგი სხვადასხვა პუნქტისათვის მერყეობს 100—250 მ ფარგლებში. იმის გამო, რომ მთების შუა სარტყლის ზონა საკმაოდ ფართოა ვერტიკალურად და ჰორიზონტალურადაც, ეკოლოგიური პირობებიც ფრიად მრავალფეროვანია. სხვადასხვა სიმაღლეზე გვაქვს სითბოსა და ნალექების სხვადასხვა ჯამი, ნიორგვარია აგრეთვე ნიადაგი და მთის შემქმნელი ქანები, ადამიანის მოქმედების ზეგავლენა და სხვა“. რაც თავის მხრივ აპირობებს მთების შუა სარტყლის ტყეებში ცენოზების ფრიად დიდ მრავალფეროვნებას, რასაც აგრეთვე იწვევს საქართველოს ხე-მცენარეთა და ბუჩქების სახეობათა სიმრავლეც.

მთების შუა სარტყლის ტყეები საკვლევ რაიონში წიფლნარებითაა წარმოდგენილი. სამხრეთ ფერდობებზე თითქმის ყველგან ქართული მუხისაგან (*Quercus ibérica* Stev.) შექმნილი მუხნარებია განვითარებული. ამ ტყეებში



ხე-მცენარეთა ფოთლის გაშლამდე და ბალახოვანი სინუზის განვითარებამდე ვე-
ვილობს ადრე გაზაფხულის მცენარეები.

შედარებით დაბურულ წიფლნარებში მკვდარი საფარი ვითარდება. ამ წიფლ-
ნარებში გაზაფხულის მცენარეთა ერთეული წარმომადგენლები გვხვდება როგო-
რიცა: *Dentaria quinquefolia* M. B., *Arum orientale*
M. B., *Lathraea erecta* (C. Koch) A. Grossh., *Anemone ran-
unculoides* L. და სხვ.

აპრილში ინწობის ხეობაში წიფლნარში ნიადაგი მკვდარი ფოთლებით იყო
დაფარული, ხეები (წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი, მუხა და სხვ.) ახლად იწ-
ყებდნენ შეფოთვლას. გაშიშვლებულ ტყეში მკვეთრად გამოირჩეოდა სუროს მა-
რადმწვანე ფოთლებით ახვეული ხეის ღეროები. ვეგეტაცია დაწყებული იყო
ტყისპირებსა და ველობებზე. აქ ახლად დამდნარი თოვლის გვერდით ყვავილობ-
და *Anemone caucasica* Willd., *Galanthus* sp., *Corydalis*
Marschalliana (Pall.) Pers. var. *roseo-purpurea*
Rupr., ნესტიანი ხეების ფერდობებზე კი *Petasites albus* (L.) Ga-
erthn., *Primula woronowii* Losinsk. და სხვ.

შუამთის მიდამოებში, სადაც აგრეთვე წიფლნარებია, ყვავდა *Primula*
woronowii Losinsk., *Bellis perennis* L., რომელიც შესანიშ-
ნავ დეკორატიულ მცენარეს წარმოადგენს. ტყის პირებზე მრავლადაა ხარისძირა
(*Helleborus caucasicus* A. Br.), რომელიც აგრეთვე დეკორატიუ-
ლია, *Muscari szovitsianum* Bakk. და სხვ.

ცივ-გომბორის ქედის წიფლნარებში აპრილის შუა რიცხვებში გაზაფხულის სხვა
მცენარეებთან ერთად უხვად ვხვდებით ღანძილის (*Allium ursinum*
L.) ფოთლებს, რასაც მოსახლეობა დიდი რაოდენობით კრეფს და მხალად იყე-
ნებს.

რაც შეეხება წიფლნარებს — ბალახეული საფარით ან ფოთოლმცვივანა ქვე-
ტყით, და ამავე სარტყელში ხეების პროლუვიურ ცრუ ტერასებსა და ხეების
გამოტანის კონუსებს, ანდა ტყისა და ველობების პირებს—მათზე გაზაფხულის
ფლორის მრავალ წარმომადგენელს ვხვდებით, ასეთებია: *Scilla sibi-
rica* Andr., var. *gracilis* A. Grossh., *Corydalis angus-
tifolia* (M. B.) DC, *Viola alba* Bess., *Viola odorata*
L., *Paris incompleta* M. B., *Chrysosplenium alter-
nifolium* L., *Puschkinia scilloides* Ad., *Pachyph-
ragma macrophyllum* (Hoffm.) N. Busch. და სხვ.

გარდა კახეთისა, გაზაფხულის მცენარეები ოთხივე არაგვის ხეობიდან და სა-
თავეებიდან შეეკრიბეთ.

არაგვი ვიწრო ხეობაში მიედინება. შედარებით გაშლილ ადგილებში კალა-
პოტს ხშირად იცვლის და ამის გამო ჭალებზე საკმაოდაა რიყეები; ამ რიყეებზე
ადრე გაზაფხულის მცენარეები არ ვითარდება — იშვიათად ვხვდებით მჭარო-
სანთა ოჯახის ერთეულ სახეობებს. სამაგიეროდ გაზაფხულის ყვავილები მრავლა-
დაა არაგვის ჭალების მურყნარებში. აპრილისათვის მურყნარებში თოვლი დამ-
დნარია. ნიადაგზე თეთრად მოფენილი ძაღლნიორას (*Ornithogalum*)
ყვავილები, დაჩრდილულ ხეებსა და მდინარისპირულ ტერასებზე კი ყვავის
Scilla sibirica Andr. var. *gracilis* Grossh., *Chrysosp-*



lenium alternifolium L., *Adoxa moschatellina* L.,
Oxalis acetosella L. და სხვ. მათა სამხრეთ კალთებზე
 ბით დაბლა, დაახლოებით 1300 მ ვეგეტაცია აღრე, თებერვალში იწყება. ამ დრო-
 ისათვის თბილი ფშების პირას *Tussilago farfara* L. იწყებს ყვავი-
 ლობას. ნატყვევარ მდელოებსა და ბუჩქებში ჯერ ენძელასი *Merendera*
trigyna (Ad.) Woron და შემდეგ ზამბახის (*Iris reticulata* M. B.)
 პირველი ყვავილები ჩნდება.

ცნობილია, რომ გაზაფხულზე მცენარეთა ვეგეტაციის დაწყებისათვის გადამ-
 წყვეტი მნიშვნელობა სითბოს ფაქტორსა აქვს. გაზაფხულის ზოგიერთი მცენარის
 ყვავილები ნიადაგიდან ხშირად უშუალოდ თოვლზე ამოდის (*Galanthus*
caucasicus (Bakk.) Grossh., *Scilla sibirica* (Andr.) var.
gracilis Grossh. და სხვა. არის მცენარეები, რომლებიც თოვლისპირა ნა-
 ქურზე იწყებენ ვეგეტაციას (*Anemone caucasica* Willd., *Gagea*
anysanthos C. Koch, *Gagea glacialis* C. Koch და
 სხვ.), ხოლო ნაწილი შედარებით გვიან, და ისიც მხოლოდ სამხრეთ ფერდობზე.

არაგვისა და სხვა ვიწრო ხეობებში მათა ფერდობებზე მზის სითბოს გავ-
 ლუნა ჩრდილოეთისა და სამხრეთის კალთებზე განსხვავებულია, რაც განსაკუთ-
 რებით გაზაფხულზე შეიძინევა. ამიტომაც, რომ ერთსა და იმავე სიმაღლეზე, როცა
 ჩრდილოეთის ექსპოზიციაზე ახლად იწყება თოვლის დნობა და პირველი მცენ-
 არეები იწყებენ ყვავილობას, სამხრეთისაზე გაზაფხულის ფლორის რამდენიმე ას-
 პექტა ხოლმე უკვე შეცვლილი.

დღის ზრდასა და თოვლის დნობასთან ერთად მთის კალთებზე მცენარეუ-
 ლობა ვეგეტაციას იწყებს და მაისის ბოლოსათვის მათა როგორც ჩრდილო, ისე
 სამხრეთული ფერდობები თითქმის მთლიანად მწვანე საფარით შემოსილი.

სუბალპურ სარტყელში მაისისათვის გაზაფხულის პირველი მცენარეები მხო-
 ლოდ სამხრეთულ ფერდობზე გვხვდება. ერთი ან იშვიათად, ორი სახეობა ყვავის
 ხოლმე ჯგუფად მცირე ნაკვეთებზე; მათ შორის მცენარეული საფარი ან სრულიად
 განუვითარებელია ან ვეგეტაცია ახლად იწყება და მიწას ოდნავ გადაჰკრავს
 მწვანე ელფერი. აქ გაზაფხულის თითქმის ყველა მცენარე დამახასიათებელ, სპე-
 ციფიურ ვიწრო ეკოლოგიურ პირობებთანაა შეგუებული და ყველგან მსგავს
 ადგილსამყოფელზე გვხვდება.

მაგალითად, მთიულეთის არაგვის ხეობაში სოფ. მღვთთან მთის ჩრდილო კალ-
 თაზე მაისის ბოლოსათვის ნიადაგი მთლიანად იყო დაფარული დამკორდებელი
 მარტოვანების ფოთლებით, ყვავდა ჯვაროსანთა, ბაისებრთა, ყაყაჩოსებრთა, პა-
 რკოსანთა და სხვა ოჯახების წარმომადგენლები (გაზაფხულის ყვავილები). სოფ-
 ლის მაღლა, მთის თხემის მახლობლად თოვლის ლაქების გვერდით ყვავდა *Gagea*
anisanthos C. Koch., ვეგეტაციას იწყებდა შხამა (*Veratrum*
Lobelianum Bernh.) ნიადაგიდან თავი ამოეყო მის ფოთლებს, რომ-
 ლებიც ნიადაგიდან ამოსვლისას გარკვეულ შეკრულ წრებში არიან გაწყობილ-
 ნი. უფრო მაღლა, გადაშისვლებულ კლდოვან ნიადაგზე (*Saxifraga pse-*
udolaevis Oett.) ყვავდა. ამავე ფერდობის ღორღიან ნაშლებზე შეგვრი-
 ბეთ *Petasites Fominii* Bordz. (*Nardosmia Fominii*),
 რომელიც საქართველოს ენდემია, კავკასიონის ცენტრალური ნაწილის (რაჭა-ლე-
 ჩხუმი, სამხრეთ ოსეთი, მთიულეთი) სუბალპური სარტყლის ღორღიან ნიადაგზე
 იზრდება და იშვიათად გვხვდება. აქვე ყვავდა *Scilla*-ს ვეგემპლარები. ისინი



მორფოლოგიური ნიშნებით ყველაზე მეტად *S. caucasica*-ს უახლოვდება ლირომელიც კავკასიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იზრდება და ა. გროსპეიმის მიხედვით პირკანულ ელემენტს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, ამ მთის ჩრდილო ფერდობზე თოვლი ახალი ამდნარი იყო და მცენარენი ახლად იწყებდნენ ვეგეტაციას. რაც შეეხება სამხრეთ ფერდობს, აქ უკვე ფურისულები ყვოდა (*Primula macrocalyx*) აგრეთვე (*Puschkinia scilloides* Ad.) მარცვლოვანების ნორჩი ნაზარდით იყო ნიადაგი დაფარული. უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ფშავსა და ხევსურეთში, აქაც ისლი ადრე იწყებს ვეგეტაციას, მარცვლოვანთა წარმომადგენლებს ხშირად უსწრებს და ადრე გაზაფხულზე საკმაოდ დიდ ფართობებს ფარავს.

ამ დროისათვის ჯვრის გადასაჯალზეც თოვლის ლაქები გვხვდება. ლაქებს შორის მრავლად ყვავის *Fritillaria latifolia* Willd., რომელიც კავკასიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს და მეტად დეკორატიულია თავისი მსხვილი, ღვინისფერი, თავდახრილი ყვავილებით. აქვე შეგვიკრებთ *Puschkinia scilloides* Ad., *Gagea anisanthos* C. Koch შედარებით დაბლა, დებერსიებში *Galanthus latifolius* Rupr. ყვავოდა.

გუდამაყარში, სოფ. ჩოხის მახლობლად მთა ცირასების ჩრდილოეთი ფერდობი არყნარითაა დაფარული. არყნარში მრავლადაა *Allium victorialis* L. შიბუ ანუ მთის ღანძილი, რომელსაც მთის მოსახლეობა საკვებად იყენებს. ამ მცენარეს სპორადული გავრცელება ახასიათებს — ხოლო სადაც არის, იქ მრავლადაა და ხშირად ერთი დღის სავალზე მიდიან სპეციალურად მის შესაკრებად. ამწნილებენ ან უშუალოდ იყენებენ. აქვე კლდეებზე ყვოდა *Saxifraga subverticillata* Boiss., *Saxifraga juniperifolia* Ad. ამავე ფერდობზე ნაწვეთ კლდეებზე შეგვიკრებთ *Omphalodes rupetris* Rupr., აგრეთვე *Saxifraga pseudolaevis* Oett. და სხვ.; შედარებით მშრალ კლდეებზე *Alopecurus glacialis* C. Koch, *Silene pigmaea* Ad. და სხვ.

ფშავისა და მთიულეთის არაგვის ხეობებში მდინარისპირა მურყნარებში და წიფლნარების ტყისპირა ბუჩქნარებში აპრილში, ხოლო ზოგან მაისში დიდი რაოდენობით ყვავის *Adoxa moschatellina* L. შემდეგ კი მისი კვლი ცენოზში სრულიად ისპობა და ამის გამო ეს გვარი დიდი ხნის განმავლობაში სრულიად არ იხსენიებოდა საქართველოსათვის [41].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმაღლის ცვლისა და მთის კალთის მიხედვით იცვლება გაზაფხულის მცენარეთა ვეგეტაციის დაწყებისა და დამთავრების ვადები.

მასარის ქედზე ახადის მთის ჩრდილო კალთაზე სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე 1965 წ. 21 მაისს *Primula algida* Ad. ყვავოდა და ასპექტს ქმნიდა. დეკანებში თოვლის პირას ყვავოდა *Fritillaria lutea* Mill. შევაგროვეთ *Gentiana angulosa* M. B. და *Gagea anisanthos* C. Koch რამდენიმე ყვავილი.

გორის ფხაზე — თოვლის პირას *Merendera raddeana* Rgl. ყვავოდა მეტად მცირე რაოდენობით; მდელოს ოდნავ დაკრავდა მწვანე ელფერი.

ს. როშკა სუბალპურ სარტყელშია. მაისში სოფლის მიდამოებში თოვლი თითქმის მთლიანად იყო დამდნარი, ვეგეტაცია მხოლოდ სამხრეთი ფერდობის



ქართული
ბოტანიკური
საბაღი

მცენარეებს ჰქონდა დაწყებული — ნაწილი ყვავდა კიდეც (*Puschkinia scilloides*, *Fritillaria lutea* Mill., *Primula auriculata* Lam., *Ajuga genevensis* L. და *Ajuga orientalis* Boiss.)

ამ დროს ს. ხახმატის მიდამოებში სამხრეთ ფერდობებზე შევკრიბეთ: *Astragalus chordorhysus* Bunge, *Gagea glacialis* C. Koch, *Primula ruprechtii* Kuns. და სხვა.

გაზაფხულის მცენარეთა ყვავილობის ვადები აგრეთვე იცვლება გამაზამთრების პირობებთან დაკავშირებით. ხანგრძლივი ზამთარი, ან გვიან ყინვები ცვლის ყვავილობისა და ვეგეტაციის ვადებს.

მაგ. *Puschkinia scilloides* Ad. ყვავილობა ასეთ სურათს იძლევა.

აღების ადგილი	სიმაღლე ზღ. დონედ.	ექსპოზიცია	შეკრების თარიღი
ს. შუაფხო	1200 მ	აღმ.	9.IV. 58
ს. ვოვოლაურთა	1400 მ	სამხრ.	25.IV. 65
ს. ბარისხო	1350 მ	აღმ.	1.V. 61
ს. როშკა	2300 მ	სამხ.	16.V. 60
ს. ხახმატი	2400 მ	სამხ.	10.V. 60
მთა უბისთავი	2300 მ	სამ. დას.	6.V. 60
მთა ბლოსთავი	2600 მ	დას.	25.V. 62
უბისთავი	2200 მ	სამ. დას.	17.V. 62
ლომისის მთა	2200 მ	ჩრდ.	2.VI. 64
გულდამაყ. მთა ცირასები	2000 მ	ჩრდ.	7.VI. 64

მცენარეულობის ტიპისა და მცენარისათვის გარემო პირობების, განსაკუთრებით ტემპერატურის ფაქტორის ცვლასთან ერთად იცვლება გაზაფხულის ფლორის სახეობრივი შემადგენლობაც. ჩვენ მიერ შეკრებილი ფლორისტიკული მასალების შესწავლისას ირკვევა, რომ გაზაფხულის მცენარეთა სახეობის უმრავლესობა გარკვეულ სარტყელთან, მაშასადამე მცენარეულობის გარკვეულ ტიპთან — და ხშირად გარკვეულ ცენოზთანა დაკავშირებული, მაგრამ გვხვდება სახეობები, შედარებით ფართო დიაპაზონით. მაგ. გვ. *Puschkinia* გვხვდება ტყის და ალპურ სარტყელში.

მთის კალთებზე სიმაღლისა და ექსპოზიციის შესაბამისად განვითარებულ ტყეებში (წიფლნარები, მუხნარები, მდინარისპირული მურყნარები და სხვა) ადრე გაზაფხულზე გარკვეული სახეობები იზრდება. მაგალითად საქართველოში გვ. *Merendera* Ram. ორი სახეობა იზრდება. ამთვან *Merendera trigyna* (Ad.) Wor. ძირითადად ველებისათვისა დამახასიათებელი—გვხვდება ტყის სარტყლის ღია ნათელ ადგილებზე — სამხრეთ კალთების მუხნარებში ან მუხნარებიდან ნაწარმ მეორად ბუჩქნარებში — მშრალ ფერდობებზე ზღვის დონიდან 1800 მ-მდე. სახეობა ა. გროსპეიმის მონაცემებით წინააზიურია და მშრალი, სამხრეთ ფერდობის ფორმაციებში მისი არსებობა ბუნებრივია. ამ გვარის მეორე სახეობა *Merendera raddeana* Rgl.—უკვე ალპებში გვხვდება ახლად დამდნარი თოვლისპირა მდელოებზე. ამ დროს ირგვლივ არც ერთ სხვა მცენარეს ვეგეტაცია კი არა აქვს დაწყებული.

გვ. Paris-ის საქართველოში არსებული ორივე სახეობა მხოლოდ ტყის სარტყელში გვხვდება. ამიტან Paris quadrifolia L. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში სუბალპურ ტყეებამდე; ხოლო Paris incompleta M. B. რომელიც ა. გროსპიედის მიხედვით კავკასიურ სახეობას წარმოადგენს ირადიაციებით, ძირითადად სუბალპური ტყის ზედა სარტყელში ვითარდება.

აღრე გაზაფხულის მცენარეები ძველიდანვე იქცევა მკვლევართა ყურადღებას. საინტერესოა ამ მცენარეთა წარმოშობასა და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები, მათი ბიოლოგია, განვითარების რიტმი და მორფოგენეზი.

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი არა ერთი შრომაა როგორც საბჭოთა, ისე უცხო ლიტერატურაში.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს ეფემერების განვითარების სეზონური რიტმი. როგორც ცნობილია, გაზაფხულის მცენარეთა უმეტესობა თოვლის კარგად დანდობამდე, თითქმის თოვლის ქვეშ იწყებს აღმოცენებას, მაშინვე ყვავილობს, ნაყოფსაც ივითარებს და სხვა მცენარეთა აღმოცენებამდე მთლიანად ამთავრებს განვითარების ციკლს. ამის შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილები ხმება და ცენოზში მათი კვალი სრულიად არ ჩანს, მიწაში კი რჩება ამ მცენარეთა ბოლქვები, ტუბერები, ფესურები ან ვეგეტატიური გამრავლების სხვა საშუალებანი, ზოგჯერ ნაყოფები და თესვები.

ჯერ კიდევ ენგლერმა (1879) წამოაყენა მოსაზრება, რომ თანამედროვე შუა ევროპის ადრე გაზაფხულის მცენარეები, რომლებიც სწრაფად, გაზაფხულზედევასწრებენ განვითარების მთელი ციკლის გავლას, შესაძლებელია გამყინვარების დროს განვითარებულ იყვნენ საფრანგეთისა და შუა გერმანიის დაბლობებზე [56].

შემდეგში დილსი (Diels, 1918), დაადგინა რა შუა გერმანიის ზაფხულმწვანე ტყეების მცენარეთა ზრდისა და განვითარების რიტმის 3 ტიპი, შეეცადა მათი წარმოშობა ანალოგიური კლიმატური რიტმის მქონე ტერიტორიებთან დაეკავშირებინა (პოლარქტიკა, ხმელთაშუა ზღვა და ტროპიკები) [56].

შარფეტერი (Scharfetter, 1922) ავითარებდა რა დილსის ამ მოსაზრებას, თვლიდა რომ მცენარეები, რომელთა განვითარებისა და ზრდის რიტმი არ შეესაბამება მოცემული ადგილის კლიმატურ რიტმს, სხვა ადგილასაა წარმოშობილი. ამ სახეობათა სამშობლოდ ის ქვეყანა ჩაითვლება, რომლის კლიმატის პერიოდებიც მცენარის ზრდასა და განვითარების პროცესის მავარია.

შარფეტერმავე წამოაყენა დებულება, რომ სახეობის განვითარების რიტმი შესაძლებელია გარემო მცენარეული საფარის ზემოქმედებითაც ჩამოყალიბდეს [56]. ამავე დებულებას იზიარებენ საბჭოთა ავტორები (ლუბიმენკო, 1924; ლუბიმენკო და ვულფი, 1924). ნაწილი ავტორებისა თვლიდა, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეები ისევე ძველია, როგორც ფართფეოთლიანი ტყეები, ე. ი. დასაწყისის მესამეულიდან იღებენ [56].

პირველი ავტორი, ვინც საბჭოთა კავშირში სპეციალური შრომები მიუძღვნა გაზაფხულის მცენარეთა განვითარების რიტმს და დაკვირვებებს აწარმოებდა იმ თავისებურებებზე, რაც ამ მცენარეთ ახასიათებს, ა. კოჟეენიკოვი.

ა. კოჟეენიკოვი სპეციალურ დაკვირვებებს აწარმოებდა ადრე გაზაფხულის მცენარეებზე. კოჟეენიკოვისა და შემდეგ სხვა ავტორთა ცდების შედეგად დადასტურდა, რომ მცენარეთა დიდი უმეტესობა ზამთარში თოვლქვეშ მოსვენების სტადიაში კი არ ვადადის, როგორც ამის თაობაზე ხშირად მიუთითებენ ლიტერატურაში, არამედ მასში ჩვეულებრივ მიმდინარეობს სასიცოცხლო პროცესები,



ოლონდ შენელებულად — ნაკლები ინტენსივობით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილი და ხანგრძლივი შემოდგომის მიუხედავად, გაზაფხულს მცენარეთა შემდგომი განვითარება ჩერდება. აღმოცენება მაშინვე კი არ ხდება, არამედ მცენარე ხანმოკლე შესვენების სტადიაში გადადის; ეს სტადია გარკვეულ სახეობისათვის განსაზღვრულია — ხანგრძლივია ან ხანმოკლე. ამ საინტერესო მოვლენის მიზეზად, ვ. ლუბიმენკოს და ე. ვულფის აზრით, უნდა ჩაითვალოს დაბალა ტემპერატურის შემოქმედების აუცილებლობა ბოლქვებს, ტუბერებს, თესვებისა და მცენარეთა სხვა ნაწილების გაღივებისა და აღმოცენებისათვის. ამ მკვლევართა მიხედვით, მცენარეთა შემდგომი განვითარებისა და ყვავილობის დროის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა სამარაგო ნაწილებში საზრდოს მარაგის რაოდენობა, არამედ უჯრედის პროტოპლაზმის ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლითაც განსაზღვრება განვითარების სისწრაფე და დრო.

თოვლქვეშ მოზამთრე მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ამ მცენარეთა უჯრედის წვენი გაყინვის წერტილი 0°-ზე გაცილებით უფრო დაბალია. [27] ამასთან მცენარეთა მოზამთრე ნაწილებში სახამებელი შაქრადაა გარდაქმნილი, რაც უჯრედის წვენის კონცენტრაციის ზრდასა და თავის მხრივ, გაყინვის წერტილის დაბლა დაწევას განსაზღვრავს.

ზოგი მკვლევარი ადრე გაზაფხულის ეფემერების წარმოშობას ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდის მსგავსების გამო არქტოალპურ მცენარეებთან აკავშირებს და მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი ანალოგიურად არიან კლიმატს შეგუებულნი და არქტიკულ ან ალპურ ხანმოკლე ზაფხულში ამთავრებენ მთელ სასიცოცხლო ციკლს.

ლუბიმენკო და ვულფი აღნიშნავენ რომ: „ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდით გაზაფხულის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეები ბიოლოგიურად არ განსხვავდება მოკლე ზაფხულსა და ხანგრძლივ ზამთართან შეგუებული არქტიკული და ალპური მცენარეებისაგან.“ და შემდეგ: „კოლას ნახევარ კუნძულზე ნაცვლად გაზაფხულისა, ისინი ტიპურ ალპურ ან არქტიკულ ზაფხულს მცენარეებად ხდებიან“ [35].

ვულფისა და ლუბიმენკოს დაკვირვებებით ადრე გაზაფხულის მცენარეები წარმოადგენს ქარბად ნოტიო ჰაერისა და ნიადაგის, აგრეთვე სინათლის ფაქტორისადმი მომთხოვნ მცენარეებს.

ეს ავტორები აღნიშნავენ, რომ ქსერომორფულობის ნიშნები ზოგიერთ სამხრეთულ სახეობებს ახასიათებს.

ა. კოყენიკოვი აწარმოებდა რა დაკვირვებებს გაზაფხულის მცენარეებზე, იმ დასკვნამდ მიდის, რომ რუსეთის ფოთლოვანი ტყის ეფემერები განვითარების რიტმით ალპურს ან არქტიკულ მცენარეებს გვანან და გამყინვარების დროიდან უნდა იყვნენო აქ შემორჩენილი.

ა. კოყენიკოვი მიუთითებს განსაკუთრებულ ხელისშემწყობ პირობებზე ტყეში ეფემერების განვითარებისათვის. პირველ ყოვლისა იგი აღნიშნავს, რომ ტყეში ნიადაგის ზედაპირს ყოველწლიურად ძალიან დიდი რაოდენობით ეფინება ფოთლების, წვრილი ტოტებისა და სხვა სახის მასა, რაც გარკვეულ ტემპერატურულ და სინესტის რეჟიმსა ქმნის მცენარეთა ვეგეტატური ნაწილების თოვლქვეშ გამოსაზამთრებლად. თოვლიც, აგრეთვე, ტყეში მყარადაა, ქარს არ გადააქვს და ამის გამო, ნიადაგი ღრმად არ იყინება და გაზაფხულზე, მზით ნია-

დავის თბობის დაწყებასთან ერთად, მცენარეები ვადივებასა და აღმოცენებას იწყებენ. ამას განსაკუთრებით ისიც უწყობს ხელს, რომ გაზაფხულის მცენარეთა უმეტესობა ბოლქვებით, ფესურებითა და ტუბერებით იზამთრებენ, რაც ავარჯიშული ვე მნიშვნელოვანია ადრე აღმოცენებისათვის, რადგან ვარემოს ზეგავლენით და დაღვინების სპეციალური მოწყობილობათა არსებობის გამო თესლის ვადივებასა და აღმოცენებას უფრო მეტი სითბო და ნესტი ესაჭიროება.

ვ. ვილიამსი მიუთითებს, რომ: „Всякое древесное сообщество способствует в зимнее время сохранению снегового покрова на место его выпадания, препятствуя снесению его ветром и почва леса, равномерно покрытая снегом, в меньшей степени охлаждается благодаря очень малой теплопроводности снега.“ [15].

რუსეთის მრავალი ავტორი მიუთითებს, რომ ეფემერების ფოთლოვან ტყეებში განვითარებას ხელს უწყობს ერთიანი საფარი ფოთლებისა და მკვდარი ნაწილების ნაფენისა და თოვლის სახით, რადგან ეს უკანასკნელი სითბოს ნაკლებად იტარებს. ამის გამო, თოვლქვეშ სპეციალური პირობები იქმნება მცენარეთა გაძლიერებასთან. თვით ა. კოვენიკოვისა და შემდეგ სხვა ავტორთა ცდებით დადასტურებულია, რომ მცენარეთა უმრავლესობა თოვლის გადაცლისთანავე იღუპება. ასევე ტყეა ეფემერები ისპობა გაჩეხილ ადგილებზე.


როგორც აღნიშნეთ, რიგი ავტორებისა თვლის, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეები არქტო-ალპური მცენარეებიდან უნდა წარმოქმნილიყვნენ და გამყინვარების შემდეგ უნდა შემორჩენილიყვნენ ზომიერი სარტყლის ტყეებში.

ტ. ტროფიმოვი [62, 63] აღნიშნავს, რომ თუ ეს მცენარეები აქ გამყინვარების შემდეგ წარმოიშვნენ, მაშ ყინულს, უკან დახევისას, თან უნდა წაყოლოდნენ და იქ უნდა იყვნენ ფართოდ გავრცელებულნი და არა ფოთლოვან ტყეებში. ტროფიმოვის აზრით, ეფემერების, წარმოშობა და განვითარება ფოთლოვან ტყეებს უნდა დაუკავშიროთ.

ადრე გაზაფხულის მცენარეთა არქტო-ალპური წარმოშობის მომხრენი თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად რამდენიმე დებულებას აყენებენ, მათ შორის აღსანიშნავია:

1. ადრე გაზაფხულის მცენარეთა მრავალწლეულობა — რაც აგრეთვე დაზახსიოტებელია არქტიკულ და ალპურ მცენარეთა უმრავლესობისათვის, რადგან ამ მცენარეებს ძლიან მოკლე სვეგეტაციო პერიოდის განმავლობაში უხვდება განვითარების მთელი ციკლის ვაგლა. ლუბიმენკოსა და ვულფის მოსაზრებით, ადრე გაზაფხულის მცენარეებშიც ბევრია მრავალწლეული სახეობები. მაგრამ თუ ტყის მცენარეებს შევისწავლით, არც აქ არის ნაკლები რაოდენობით მრავალწლეული სახეობები — რომ თესლით გამრავლება ტყეშიც შემცირებულია და ჰარბობს ევგეტატიური გამრავლება, ამაზე მიუთითებს პროფ. ვ. სუკაჩოვიც [60], რომელიც აღწერს რა ნაძვარის ბალახოვან საფარს, აღნიშნავს, რომ ჩვენ აქ მრავალ ვხედავთ მცენარეებს, რომელნიც თესლით გამრავლების ნაცვლად — ევგეტატურად მრავლდებიან. მაშასადამე, ევგეტატური გამრავლების სიჭარბე ეფემერებში არ ჩათვლება ისეთ ნიშნად, რაც მათ მხოლოდ არქტიკულ ან ალპურ ფლორასთან დაკავშირებდა; იგივე ევგეტატური გამრავლება ახასიათებს ტყეთა ბალახეული სინუზიის უმეტეს სახეობებსაც.

ეფემერების არქტო-ალპურ მცენარეებთან დასაკავშირებლად მეორე დამახასიათებელ ნიშნად მოჰყავთ თვისება, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეები ვითარ-



დებიან კარბ-ტენიან პირობებში, შედარებით დაბალი ტემპერატურისას, დებულების ირგვლივ ტ. ტროფიმოვი აღნიშნავს, რომ ადრე გაზაფხულს მცენარეებისათვის, ისევე როგორც შუა სარტყლის მცენარეთა უმრავლესობისათვის და მათ შორის კულტურულ მცენარეთა უმრავლესობისათვის, განვითარების საწყის სტადიაზე დაბალი ტემპერატურა აუცილებელი, ყვავილობისას თბილი, ხოლო განვითარებას ეს მცენარენი საკმაოდ მაღალი ტემპერატურების ას ამთავრებენ. ისე რომ, ამ ნიშნით ეფემერები ძნელად თუ ემსგავსება მცენარეთა არქტო-ალპურ ჯგუფს. პირიქით, როგორც ტროფიმოვი აღნიშნავს, ზაფხულს მცენარეთა ზრდასა და განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსი ტყეში იმავარაა, რომ სწორედ აქ იქმნება ოპტიმალური პირობები გაზაფხულს მცენარეთა ნორმალურად განვითარებისათვის. რადგან ტყეში გაზაფხულს მცენარეთა მასობრივად განვითარება იმ დროისათვის მიმდინარეობს, როდესაც:

- 1) ტყე ჯერ კიდევ შეუფთოლავია და საუკეთესო პირობებია მზის ინსოლაციისათვის.
- 2) მცენარეული საფარი, გარდა გაზაფხულის ეფემერებისა ან სრულიად განუვითარებელია, ან ახლად იწყებს გაღვიძებას, რის გამოც გამორიცხულია კონკურენცია.
- 3) ნიადაგი საკმაოდ ნესტიანია და მდიდარი ორგანული ნივთიერებებითა და მარილებით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩარეცხილი ნიადაგის ქვედა პირიზონტებში.

გაზაფხულზე ფოთლოვან ტყეში არსებული ეს პირობები წლის განმავლობაში ყველაზე უკეთესია სინათლის მოყვარულ სახეობათა უკეთ განვითარებისათვის, რამაც ალბათ, განაპირობა ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში გაზაფხულის მცენარეთა ადრე განვითარებისათვის საჭირო მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გამომუშავება.

ადრე გაზაფხულის მცენარეთა უმრავლესობა სინათლის მოყვარულია. ამასთან, დაკორღებულ ნიადაგსა და დამკორღებელ მარცვლოვანთა კონკურენციას ვერ უძლებენ. ასევე ვერ უძლებენ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს და სხვა. საბოლოოდ ტ. ტროფიმოვი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აღნიშნული ჯგუფის მცენარეთა ადრე გაზაფხულზე განვითარება ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში ტყის სასიცოცხლო პირობებისა და განვითარების ფაზებისადმი უკეთ შეგუების შედეგს წარმოადგენს და იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ გაზაფხულის ეფემერები ტყის სარტყლისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ ჯგუფს წარმოადგენს და არა არქტო-ალპურ მცენარეთა გამყინვარების დროინდელ ნაშთს.

მესამე ნიშანი, რის მიხედვითაც ამ მცენარეებს არქტო-ალპურ მცენარეულ ჯგუფთან აკავშირებენ, ეს მათი ნაკლები სპეციალიზაციაა ჯვარედინი დამტევრებისათვის. მაგრამ ტროფიმოვის აზრით, ეს მათ სწორედ ტყის სხვა მცენარეებთან აკავშირებს. ამასთანავე, მათ შორისაც მრავალია სახეობები, რომლებსაც ხშირად რთული მოწყობილობები ახასიათებს მწერებით დამტევრებისათვის.

მიუთითებენ, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეთა თესვები (მრავალწლოვანებისა) ვითარდება ან მხოლოდ დაბალი ტემპერატურისას, ან თუ ტემპერატურული ოპტიუმში მაღალია, საბოლოოდ არ კარგავს დაბალ ტემპერატურებზე განვითარების თვისებას [45]. ე. პროსკურიაკოვი აგრეთვე ამტკიცებს, რომ „გაზაფხულის მრავალწლოვანთა თვისება, განვითარდნენ დაბალი ტემპერატურებისას, საოცრად აახლოებს მათ მაღალი მთის მცენარეებთან“.



ტროფიმოვი მიუთითებს, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეები: *ranunculoideis, corydalis* და სხვანი მოგვაგონებს *მარცხენა* თხილს, ე. ი. ფართოფოთლოვანი ტყის ძირითად ჯიშებს, რომლებსაც აგრეთვე ახასიათებს თესვლების მიწისქვეშა განვითარება, რაც აგრეთვე უდავოდ მიუთითებს მაათი წარმოშობისა და განვითარების საერთო პირობებზე, ი. ვასილჩენკოს მიხედვით, თესლის მიწისქვეშა გაღივება სახეობის უძველესობის მომასწავებელია.

«Подземное прорастание (за некоторыми может быть исключениями) не наблюдается вовсе у более высоко организованных спайнолепестных, а присутствует главным образом, у древних групп раздельнолепестных».

როგორც ვხედავთ, აღნიშნავს ტროფიმოვი, თესლების გაღივების ხასიათითაც ემეჯნებოიან ურთიერთს ადრე გაზაფხულისა და ისტორიულად შედარებით ახალგაზრდა არქტო-ალპური ჯგუფის მცენარეები, და უახლოვდებიან მუხას, თხილსა და უძველესი ფლორის რიგ სხვა წარმომადგენლებსო, და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „ადრე გაზაფხულის მცენარეები ალბათ ადრიდანვე იყვნენ დაკავშირებული ფართოფოთლოვან ტყეებთან და თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდნენ ხეთა და ბუჩქთა იარუსისა და ბალახოვანი სინუზიის ფოთლოთა გაშლამდე მოყვავილე თავისებურ სასიცოცხლო ფორმად.

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ადრე გაზაფხულის მცენარეთა განვითარების რიტმი, მიწისქვეშა ორგანოთა აგებულება და თანამედროვე გავრცელება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ადრიდანვე იყვნენ დაკავშირებული ფართოფოთლიანი ტყეების ადრეულა, ფოთლების გაშლამდელ ფაზასთან.

ბ. გორჩაკოვსკი განიხილავს რა ურალის მთებზე ლარიქსის ტყეების ადრე გაზაფხულის მცენარეთა სინუზიას, აღნიშნავს [16], რომ ამ ტყეებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია *Anemone altaica* Fisch., *Anemone coerulea* DC, *A. reflexa* Steph. და *A. Jeniseensis* Kryl. და ბუჩქისძირას (*Corydalis bracteata* Pers. და *corydalis Halleri* Willd. var. *subremota* M. Pop.) ასპექტი და თვლის, რომ ადრე მოყვავილე მცენარეთა განსაკუთრებული სინუზია, განვითარების სწრაფი ციკლით უნდა განვითარებულიყო უშუალოდ ლარიქსის ტყეებში. ამისათვის საჭირო ეკოლოგიურ წინაპირობად უნდა ყოფილიყო 1) სინათლის კარგი გამტარობა ლარიქსის ტყეში წიწვისა და სხვა ბალახოვანი სინუზიების განვითარებამდე.

2) ლარიქსის ტყეების წარმოქმნისას მათ შემადგენლობაში შევიდა სახეობები უკვე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ნიშნებით; ამ სახეობებს შეეძლოთ განვითარებულიყვნენ დაბალი ტემპერატურებისას და ახასიათებლათ ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდი. შემდეგში კი ხდებოდა შერჩევა იმ სახეობებისა, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ მოცემული ფიტოცენოზის ნიშანთა კომპლექსთან შეგუებულნი.

ბ. გორჩაკოვსკი ურალზე ეფემერების განვითარებას მესამეულის წიწვოვანი ტყეების წარმოქმნასთან აკავშირებს და აღნიშნავს, რომ ამ დროს უნდა განვითარებულიყო სინათლესთან და სიცივესთან შეგუებული სახეობები ამ ტყეებში.

„პლეისტოცენში კლიმატის გაცივებისა და კონტინენტალური კლიმატის ჩამოყალიბებისას ციმბირის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელდა ლარიქსი. ლარიქს-



თან ერთად კი ამ ტყეებთან დაკავშირებული მცენარეული კომპლექსი უმეტესად მთის ჩამოყალიბებას თან სდევდა მისი არქტო-ალპური სახეობებით. ეს უმეტესად — რომლებიც ალბათ ამოსავალ მასალას წარმოადგენდნენ ადრე გაზაფხულის ეფემერებისათვის.

შემდგომში ლარიქსის ტყეების სხვა ჯიშების მიერ შევიწროვებამ ადრე მოყვავილე მცენარეთა სინუზიაზეც იმოქმედა — ნაწილი ამ მცენარეებისა არყნარებს შეეგუა, ნაწილი არყნარებისა და წიწვოვანთა შერეულ ტყეებს შემორჩა, სადაც ისინი ხანდახან გვხვდებიან ტყის ველობებზე; ცალკეული სახეობები კი ტყეში მთის ნაკადულისპირა მდელოთა ასოციაციებსა და ბუჩქნარებში დასახლდა. მაგრამ განსაკუთრებით კარგად ეს მცენარეები ხეობებისა და ნაირბალახოვან ლარიქსიანებს შეეგუენ, ე. ი. გორჩაოკოსკი თვლის, რომ ჩრდილოეთში ადრე მოყვავილე მცენარეთა სინუზია ლარიქსის ტყეების წარმოქმნასა და გავრცელებასთანაა დაკავშირებული. ამ საკითხებისადმი საბჭოთა მკვლევარების ინტერესი თანდათან ძლიერდება.

ი. სერებრიაკოვი [49] წლების განმავლობაში აწარმოებდა დაკვირვებებს მოსკოვის მახლობელი ტყეების მცენარეთა სეზონურ განვითარებაზე. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ გაზაფხულზე ზრდის დაწყება ბევრად არის დამოკიდებული გამოზამთრების პირობებზე.

სერებრიაკოვი აღნიშნავს, რომ ცდებით არისო დამტკიცებული, რომ ზამთრის განმავლობაში მცენარეები არ წყვეტენ ზრდას და განახლების კვირტები ზამთრის თვეებშიც უყალიბდებათ. როგორც ცნობილია, ყვავილოვან მცენარეებს ახასიათებს ყვავილისა და ყვავილედის წინასწარი ჩასახვა განახლების კვირტებში.

სერებრიაკოვის მიხედვით სავეგეტაციო პერიოდის დამთავრებისას განახლების კვირტებში მომავალი წლის ლეროს ფორმირების, ხასიათის მიხედვით მცენარეები 3 ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფში გერთიანებულია მცენარეები, რომელთა განახლების კვირტებში მომავალი წლის ლერო მთლიანადაა ჩამოყალიბებული — ყვავილედისა და ცალკეული ყვავილების ჩათვლით, ხშირად მტვრიანებიც კი ვითარდება. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ადრე გაზაფხულის თითქმის ყველა მცენარე, ყველა ხე და ბუჩქი — ცაცხვის გამოკლებით.

II ჯგუფის მცენარეებს შემოდგომაზე განახლების კვირტებში განვითარებული აქვთ მხოლოდ ვეგეტატური ნაწილი, უყვავილებოდ.

III ჯგუფში კი მცენარენი, რომელთაც ვეგეტატური ნაწილიც კი არა აქვთ მთლიანად ჩამოყალიბებული.

როგორც ირკვევა, მოსკოვიდან ჩრდილოეთისაკენ თანდათან მატულობს პირველი ჯგუფის მცენარეთა რიცხვი. მაგ. კოლის ნ/კ. ამ მცენარეთა პროცენტული შემადგენლობა მცენარეთა საერთო რაოდენობის 80—90%-ს შეადგენს, ხოლო ტამირის ნ/კ. ყველა ყვავილოვანი მცენარის განახლების კვირტში მოცემულია ყვავილისა და ყვავილედის წინასწარი ჩანასახი.

დაკვირვებით ირკვევა, აღნიშნავს ი. სერებრიაკოვი, რომ რაც უფრო სპეციალიზირებულია მცენარის საყვავილე ლეროები, მით უფრო ადრე ყვავის იგი. საყვავილე ლეროს სპეციალიზაციის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული ყვავილობის ვადა.



მცენარეები, იმის მიხედვით თუ რადარაგვარი ღერო უვითარდებათ. მცენარეები ძლებელია 3 ჯგუფად გაიყოს:

I ჯგუფში ისეთი მცენარეები ერთიანდება, რომელთაც საყვავილე და ვეგეტატიური ღეროები ცალ-ცალკე არ გააჩნიათ.

II ჯგუფის მცენარეთ ცალკე აქვთ როგორც საყვავილე, ისე ვეგეტატიური ღეროები. ამასთან, საყვავილე ღეროებზე მწვანე ფოთლები მცირე რაოდენობითაა და სუსტად განვითარებული.

III ჯგუფის მცენარეებს ახასიათებს უკიდურესად სპეციალიზირებული ერთ-წლედული საყვავილე ღეროები, რომლებზედაც ფოთლები არ ვითარდება ან ძლიერად რედუცირებულია. ამ ჯგუფის მცენარეთა საყვავილე ღერო პეტეროტროფულია.

ალბათ მცენარეთა ცენოზში განვითარება წარმოადგენდა იმ ერთ-ერთ ისტორიულ ფაქტორთაგანს, რამაც ნაირგვარი სტრუქტურის საყვავილე ღეროს მქონე სახეობათა წარმოქმნა განსაზღვრა [53].

აბიოტური ფაქტორებიდან, რომელთაც სხვადასხვა ტიპის საყვავილე ღეროს ფორმითწარმოქმნა განსაზღვრეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა. რაც უფრო ხანმოკლეა სავეგეტაციო პერიოდი, მით უფრო ადრე უნდა დამთავროს მცენარემ სეზონური განვითარების ციკლი, ადრე დაიწყოს ყვავილობა, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს საყვავილე ღეროების სპეციალიზაცია. რაც უფრო ხანმოკლეა სავეგეტაციო პერიოდი, მით უფრო მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემული რაიონის ფლორაში სპეციალიზირებული საყვავილე ღეროს მქონე სახეობები.

მაშასადამე, განახლების კვირტებში ღეროსა და ყვავილედის წინასწარი ფორმირების ხასიათზე და აგრეთვე ღეროს სპეციალიზაციაზე — საყვავილე და ვეგეტატიურ ნაწილებად, დიდად არის დამოკიდებული ყვავილობის ვადა [53].

ზემოთ აღნიშნული თვისებები მცენარეთა ევოლუციის პროცესშია გამომუშავებული და ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს მცენარის მიერ ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდის პირობებში განვითარების მთელი ციკლის დროულად გავლისათვის.

ი. სერებრიაკოვის მიხედვით [51] არქტიკის ფლორის ფორმირებისას ჩანასახოვანი ყვავილედის მქონე სახეობათა შერჩევა კი არ ხდებოდა მხოლოდ, არამედ ამ ნიშანთვისებების მქონე სახეობათა წარმოქმნაც მიმდინარეობდა გარემო პირობების ზემოქედებით.

მაგ. სახეობა *Sanguisorba officinalis* მოსკოვის მახლობლად იზრდება; მას განახლების კვირტში მცენარის ვეგეტატიური ნაწილიც კი არა აქვს მთლიანად ჩამოყალიბებული, ხოლო მის სუბარქტიკულ ფორმას, რომელიც ამჟამად ცალკე სახეობადაა გამოყოფილი (*Sanguisorba polygama* Nyl.), საყვავილე ღეროც და ყვავილედიც კი მთლიანად უვითარდება განახლების კვირტებში (რა თქმა უნდა, ჩანასახის სახით); ამავე სახეობას, *S. officinalis* — ისაგან განსხვავებით, ახასიათებს ღეროს სპეციალიზაცია საყვავილე და ვეგეტატიურ ნაწილებად [51].

დიდ ინტერესს იწვევს მცენარეები, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენენ ამ საერთო წესიდან. ეს გამონაკლისები მიუთითებს, რომ განახლების კვირტებში მთავალი წლის ღეროს ფორმირება წარმოადგენს ერთ-ერთ და არა ერთადერთ ფაქ-



ტორს, რომელიც მცენარის აყვავების ვადას განსაზღვრავს, ისიც ზოგადად ერთგორც მაგალითად — გაზაფხულის, ზაფხულის ან გვიან ზაფხულის მცენარეებში უნდა აღინიშნოს კი, რომ მცენარეთა ეკოლოგიურ და გეოგრაფიულ ჯგუფებად განაწილებისას ამ ნიშანს, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაზღვრავს რა ამა თუ იმ სახეობის ფენოლოგიური განვითარების სისწრაფეს [49].

საბოლოოდ: ყვავილისა და ყვავილედის ჩასახვის ხასიათი, ისევე როგორც ლეროს საერთო ფორმირების ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორთაგანს, რომელზედაც დამოკიდებულია სახეობის აყვავების ვადა.

აღრე გაზაფხულისა და გაზაფხულის მცენარეთა შორის არ გვხვდება პოლიქრონული ყვავილები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მათი ყვავილედები მთლიანადაა ფორმირებული წინასწარ—(წინა წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე), მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი ეს ყვავილები მხოლოდ იშლება.

საინტერესო ცდები აქვს ჩატარებული ვ. ვ. და ვლ. ვ. სკრიპჩინსკებს (1961) სტავროპოლის მხარეში აღრე გაზაფხულის მცენარეთა სეზონური რიტმის შესწავლისათვის.

ამ ავტორების მიხედვით, მცენარეთა ზრდა და განვითარება ბუნებრივ პირობებში სამი ეტაპისაგან შედგება:

1) ივლისიდან — ოქტომბრამდე, მაღალი ტემპერატურებისას მიმდინარეობს მომავალი წლის ყვავილისა და ლეროს ვეგეტატიური და გენერაციული ნაწილების ჩანასახის განვითარება — პირველადი მორფოგენეზი.

2) ნოემბრიდან—თებერვლამდე მიმდინარეობს ტემპერატურული სტიმულაცია, რომელიც განსაზღვრავს ჩანასახოვანი ორგანოების შემდგომ ზრდას — ამ ეტაპზე მცენარე განიცდის დაბალი ტემპერატურის გავლენას.

3) თებერვლიდან — მაისამდე ხდება ყვავილებისა და ლეროების საბოლოო ჩამოყალიბება და ზრდა—გაზაფხულის თბილი ტემპერატურის დადგომისას.

ავტორები ცდებს ატარებდნენ რა აღრე გაზაფხულის მცენარეებზე, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მცენარის ზრდა-განვითარებისათვის, ჩანასახის შემდგომი ზრდისა და ყვავილების გაშლისათვის აუცილებელია დაბალი ტემპერატურის ზემოქმედება — ხოლო პირველი, ე. ი. მაღალი ტემპერატურის ფაზის გამოტოვება არ აფერხებს განვითარებას, არავითარ გავლენას არ ახდენს ჩანასახის ზრდაზე და დაასკვნან, რომ მცენარეთა ყვავილის გაშლისათვის დაბალი ტემპერატურის მოქმედების აუცილებლობა ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებულ სპარსებო პირობებთან შეგუების ერთ-ერთ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ალბათ გადარჩნენ მცენარენი, რომელთა ჩანასახი გვიან, დაბალი ტემპერატურის მოქმედების შემდეგ ღივდებოდა, რის შედეგადაც შერჩენილია ოპტიმალური წლიური რიტმი.

ბოლოს აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფის მცენარეთა წარმოშობა და შემდეგი ევოლუცია ისეთ რაიონებთანაა დაკავშირებული, სადაც ნათლადაა გამოსახული წლის თბილი და ცივი პერიოდები.

სკრიპჩინსკები აღნიშნავენ, რომ როგორც ტყის, ისე ნამდვილი ველის მცენარეებს ერთნაირი რეაქცია ახასიათებთ დაბალი ტემპერატურისადმი, ე. ი. სეზონური რიტმი მსგავსია სხვადასხვა ფორმაციის მცენარეებში, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა ეს მცენარენი არქტიკაში ან ალპებში უნდა ჩასა-



ხულიყენენ რადგან, როგორც ცნობილია, ამ ადგილებში გამყინვარების მცენარეულობა ამოწყდა, ხოლო ყინულმა დიდი გავლენა მოახდინა ტროპიკული ზომიერი სარტყლის ფლორაზე. დიდი უმეტესობა ტროპიკული სახეობებზე წყა, ხოლო ხმელთაშუაზღვეთური ფლორის შემადგენლობა შეიცვალა. ალბათ ამ დროს ჩამოყალიბდა მცენარეთა ეს ეკოლოგიური ჯგუფი ეფემერების სახით უმუალოდ თავისი ბუნებრივი არსებობის პირობებში. ავტორები მიუთითებენ, რომ არ არის საჭირო მათი მიგრაციებით ახსნა.

საინტერესოა აგრეთვე, რატომ არ დაკარგეს მცენარეებმა დაბალი ტემპერატურებისას განვითარების ეს თვისება გამყინვარების შემდგომ დროინდელი თბილი ეპოქის დროს, ის ხომ უკვე აღარ იყო საჭირო? ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორები აღნიშნავენ, რომ თუ ცივი ეპოქის პირობებში სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ვადამწყვეტ ფაქტორს ვეგეტატორი ან გენერაციული ორგანოების დაბალი ტემპერატურებისას განვითარება წარმოადგენდა და ამის გამო, მცენარეებში შერჩევის გზით დამკვიდრდა ეს ნიშანთვისება, მაშინ თბილ ეპოქებში ეს თვისება უკვე აღარ იყო საჭირო, ხოლო დარვინის მოძღვრების მიხედვით „ბუნებრივი შერჩევა არ ვრცელდება უსარგებლო და უუნებელ ნიშანთვისებებზე“, ამიტომ უკეთ ეს პირობებში მოხარდმა მცენარეებმა დაკარგეს ეს ნიშანი, იგი მათ შემორჩათ როგორც თავისებური ხასიათის ფიზიოლოგიური რუდიმენტი.

ლ. კუდრიავიცი (1951) თვლის, რომ ადრე გაზაფხულის ეფემერების ჯგუფი არ არის ერთგვარი წარმოშობისა, რომ მათ შორის გვხვდება როგორც ალპური, ისე ტყის უძველესი სახეობები.

ზემოთ ჩვენ შედარებით ვრცლად განვიხილეთ მცენარეულობის სხვადასხვა ტიპში ადრე გაზაფხულის მცენარეთა მონაწილეობისა და წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებანი. როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის და ვარკვეულ დებულებებს აყენებს იმის დასადატურებლად, რომ ადრე გაზაფხულის ეფემერები არქტო-ალპური წარმოშობისა უნდა იყოს (კოყენიკოვი, ლუბიმენკო და სხვა) და მათი ზომიერ სარტყელში მიგრაცია გამყინვარებისას უნდა მომხდარიყო. მეორე ჯგუფი ავტორებისა ასაბუთებს, რომ ფოთლოვან ტყეებში სრულიად ოპტიმალური პირობებია ადრე გაზაფხულის მცენარეთა სინუზიის განვითარებისათვის და მათი განვითარების რიტმი და სხვა ნიშნები ტყის საარსებო პირობებთან შეგუების შედეგად უნდა იყოს გამოშვებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ველისა და ნახევარუდაბნოების სარტყელში, როგორც ცნობილია, ეფემერები მეტად მრავალადა და ყვავილობას ძალიან ადრე იწყებენ. ასევე ტყის სარტყლის სამხრეთული ექსპოზიციის მუხნარებში იმის გამო, რომ ამ ქალთებს მზე დიდხანს აშუქებს, თოვლი ადრე დნება და ადრე იქმნება პირობები მცენარეთა ვალიეებისა და ზრდა-განვითარებისათვის — შედარებით ადრე იწყება ყვავილობა, ხოლო შემდეგ ველესა და ამ ფერდობებზე მაღალი ტემპერატურისა და ნესტის სიმციობის გამო ივლისში მცენარეთა უმეტესობა თითქმის მთლიანად წყვეტს ვეგეტაციას; გამოდის, რომ ეფემერული ვეგეტაციისა და გენერაციის გამსაზღვრელი ამ სარტყლისათვის უკვე მაღალი ტემპერატურაა. ჩვენ აზრით, ამ პირობებისათვის იმის მტკიცება, რომ ეფემერების ადრე ყვავილობა ისტორიულად ჩამოყალიბებულია მოკლე საევეტაციო არქტიკული კლიმატისადმი შეგუების შედეგად, საფუძველს მოკლებულია.

ეფემერები ასევე მრავლად ვითარდება სუბალპური და ალპური სარტყლის მდელოებზე და სრულიად არ საჭიროებენ განვითარებისათვის და გამოზამთრებისათვის ე. წ. ჩამონადენ საფარს ფოთლებისა და სხვა მასის სახით, რაც რუსეთის ტყეებში ეფემერების გამოზამთრების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნიათ, ცხადია, რომ თოვლის საფარი სრულიად საკმარისია მცენარეთა მოყინვისაგან დასაცავად, როგორც ეს დეკის ბუჩქების გამოზამთრებისა და მათი მარადმწვანეობისათვის არის მიჩნეული. ადრე გაზაფხულზე თოვლის ამ ღრმა საფარის დადნობისას შვის ენერგია უკვე საკმარისია ნიადაგში წყლის გაღობისათვის და შესწევს მცენარეთა გაღივებისა და აღმოცენებისათვის საჭირო ცხოველყოფილობა. ბუნებრივია, რომ პირველად გაღივებასა და აყვავებას ის მცენარეები იწყებენ, რომელთაც საამისოდ უკეთ მოწყობილი აგებულია ახასიათებს სამარავო ნაწილების სახით, რაც როგორც ავტორები მიუთითებენ, ევოლუციის პროცესში საარსებო პირობებთან შევუებისას უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

საქართველოში ეფემერები მრავლად გვხვდება და ერთნაირად კარგად გრძობენ თავს როგორც ველებში, ისე ფოთლოვან ტყეებსა, სუბალპურსა და ალპურ სარტყელში. უმრავლესი ეფემერებისა დაკავშირებულია რომელიმე სარტყელთან და ხშირად სახეობა სპეციფიკურია მცენარეულობის გარკვეული ტიპისა ან ცენოზის მიმართაც კი.

ეფემერების საქართველოში გავრცელებასთან, დაკავშირებით გაზაფხულის ფლორის ცალკე წარმომადგენელთა არეალებისა და კავშირების განხილვა საინტერესო სურათს იძლევა. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ადრე გაზაფხულის რამდენიმე ტიპური გვარის სახეობათა არეალებს.

გვ. Merendera Ram.

გვ. Merendera Ram.-ის ყველა სახეობა ადრე გაზაფხულის ტუბერბოლქვიან მცენარეს წარმოადგენს. ამ გვარის წარმომადგენლები ტყის სარტყლის ღია, ნათელი ფერდობების ან ველის მცენარეებია, გვხვდება ალპებშიც.

მსოფლიოში ცნობილი 10 სახეობიდან საბჭოთა კავშირის ფლორისათვის 8 სახეობაა მითითებული. ამათგან 3 შუა-აზიისათვისაა დამახასიათებელი, რომელთაგან 2 მთებში გვხვდება, ხოლო ერთი ქვიშნარ დაბლობებზე. სახეობა *Merendera sobolifera* საერთოა შუა აზიასა, კავკასიასა და ბალკანეთ-მცირე-აზიას შორის, გვხვდება ირანშიც ალპურ მდელოებზე.

კავკასიისათვის 5 სახეობაა მითითებული. მათ შორის კავკასიის ენდემია 2 (*M. eichleri* (Rgl.) Boiss.) და დანარჩენი სამიდან ერთი (*M. sobolifera* C. A. M.) როგორც აღვნიშნეთ, საერთოა შუა აზიას, კავკასიასა და ბალკანეთ-მცირე აზიას შორის.

გვხვდება მშრალ ფერდობებზე ზღვის დონიდან 1800მ აღმ. საქართველოში, ჩრდილო-კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, აგრეთვე გადაღის მცირე აზიასა და ირანში, — წინა აზიურ სახეობას წარმოადგენს; ხოლო *M. raddeana* Rgl. გვხვდება მთავარი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში: აპარაში, ჯავახეთში, სომხეთში, ნახჭევანსა, სომხეთის ქუთაისთანა და ჩრდილო ირანში. იზრდება სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე ზღვის დონიდან 3100 მეტრამდე.



ჩვენ ვფიქრობთ, ამ გვარის სახეობათა გენეტიკური კავშირებისა და თანამედროვე არეალის შესწავლისას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კავკასიაში ამ ტიპური ადრე გაზაფხულის მცენარეთა გენეზისი არ შეიძლება არქტო-ალპურ ძირებს დაუკავშიროთ და მისი კავკასიაში არსებობა გამყინვარებით ავსნათ, ასევე გამორიცხულია ფოთლოვან ტყეებთან მათი წარმოშობის დაკავშირება.

გვ. *Fritillaria* L.

საქართველოში გვ. *Fritillaria* L. ოთხი სახეობა იზრდება. გვარი ჩრდილო ნახევარსფეროს, ზომიერი სარტყლის ფარგლებშია ძირითადად გავრცელებული.

კავკასიაში ამ გვარის 9 სახეობაა ცნობილი. მათ შორის სექცია *Eufritillaria* Boiss.-ის რიგ. *Trichostyleae* Boiss. გაერთიანებულია საქართველოს სახეობები: 1). *Fritillaria lutea* Mill. ალპური მცენარეა, *Fritillaria Kotschiana* Herbert. გვხვდება ირანსა და თალიშში მის მახლობელ სახეობას წარმოადგენს *Fritillaria latifolia* Willd., რომელიც კავკასიის სუბალპური და ალპური სარტყლის მდელოების ენდემური სახეობაა, ასევე *Fritillaria grandiflora* Grossh. კავკასიის ენდემია, თალიშში გვხვდება ტყეში კლდეებზე, ხოლო *Fritillaria orientalis* Adams. დიდი კავკასიონის მცენარეა — ალპურ მდელოებზე იზრდება.

პ. მიჩენკო [38] სექცია *Eufritillaria*-ს წარმომადგენლებს სხვა სექციებთან შედარებით ახალგაზრდად თვლის და აღნიშნავს, რომ კავკასიაში ამ გვარის არც ერთი უძველესი სექციის (*Lilirhiza* და სხვა) წარმომადგენელი არ არის შემორჩენილი, რაც კავკასიურ სახეობათა შედარებით გვიანა წარმოშობაზე, მათ მეორადობაზე მიუთითებს და უნდა დაუშვათ, რომ აქ არსებულ სახეობათა წარმოქმნა კავკასიაში ალპური სარტყლის ჩამოყალიბებასთანა დაკავშირებული და ამ სახეობათა ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვური და ირან მცირე-აზიური ქსეროფიტული სახეობები, რომლებთანაც საქართველოში მთის ქვედა სარტყელში მოხარდი *Fr. tulipifolia* M. B. (ამჟამად *Fr. caucasica* Ad.) არის გენეზურად დაკავშირებული.

გვ. *Anemone* L.

გვარი *Anemone* 76 სახეობას აერთიანებს, გვარის წარმომადგენლები გვხვდება ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელსა და სამხრეთ ამერიკაში. ამათვინ კავკასიაში 9 სახეობაა გავრცელებული, რომელთა შორის *Anemone ranunculoides* და *A. nemorosa* L. ფოთლოვან ტყეებში იზრდება. ეს ორი სახეობა გაერთიანებულია *Anemonatha* DC ქვეგვარის სექცია *Silvia* Gaud.-ში. ამ სექციის წარმომადგენლები ტყის მცენარეებია; ვხვდებით ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში უმთავრესად აღმოსავლეთ აზიასა და ციმბირში. ტყისავე მცენარეს წარმოადგენს *Anemone silvestris* L., რომელიც პალეარქტიკული არეალით ხასიათდება. ე. ი. გვ. *Anemone*-ს კავკასიაში ტყეში მოხარდი ადრე გაზაფხულის სახეობები ფართოდ გავრცელებულ ტყის მცენარეებს წარმოადგენს, რაც შეეხება კავკასიაში სამხრეთით გავრცელებულ

ბულ სახეობას *A. blanda*-ს, რომელიც ტყის ქვედა სარტყელში მშრალ ფერდობებზე ბუჩქებსა და მუხნარებში ვრცელდება, ჩვენ ალპებში მოზარდ *A. caucasica* W. -თან ერთად აერთიანებენ ერთ სექციაში *Tuberosa* Ulbr., *Anemone caucasica* ხმელთაშუაზღვურ *Anemone apennina* L.-ს მახლობელ სახეობას წარმოადგენს, მთელ კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული. გვხვდება ირანშიც.

2. *Anemone Kuznetzowii* Wor.-ს ს. იუზეპჩუკა თვლის, რომ იგი ხმელთაშუაზღვური *Anemone coronaria*-ს სახეობათა რთულ ციკლიდან ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვსო, მაშასადამე ეს მცენარეც ხმელთაშუაზღვურ სახეობებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება სუბალპურსა და ალპურ სახეობებს, *Anemone fasciculata* L., *A. impexa* Juz. და *A. Speciosa* Ad. გავრთიანებული არიან ამ გვარის სექცია *Homalocarpus* DC.-ში. ამ სექციის წარმომადგენლები გვხვდება ევროპაში, შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში; ძირითადად სუბალპური და ტყის ველობების მცენარეებია. გვხვდება სახალისსა და კამჩატკაზე, უსურის მხარეს და სხვა. მაშასადამე, ადრე გაზაფხულზე ჩვენ ტყეებში მოზარდი სახეობები უმთავრესად ევროპისა და აზიის ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში მოზარდი სახეობებია.

მშრალი ადგილსამყოფელი—სამხრეთი ფერდობების მუხნარებისა და ბუჩქნარი ფორმაციების სახეობები ხმელთაშუაზღვურ სახეობებთან იჩენს ნათესაობას და ამათვე ენათესაება ჩვენ ალპებში გავრცელებული ენდემური სახეობა *Anemone caucasica* Will.

სუბალპებისა და ალპური მდელოებისათვის დამახასიათებელი, შედარებით მეზოფილური ადგილების სახეობები აგრეთვე ჩვენ ენდემებს წარმოადგენენ და ნათესაობას იჩენენ ევროპულსა და ნაწილობრივ აზიის სუბალპებსა და ალპებში მოზარდ სახეობებთან.

საბოლოოდ არელებისა და ნათესაური კავშირების მიხედვით, ამ გვარის ადრე გაზაფხულზე მოყვავილე სხვადასხვა ფორმაციებთან დაკავშირებული სახეობების პეტეროგენული წარმოშობა დავას არ უნდა იწვევდეს.

Petasites Mill.

„საბჭოთა კავშირის ფლორის“ მიხედვით ორ გვარადაა გაყოფილი: 1) *Petasites* Mill. და 2) *Nardosmia* Cass. გვ. *Petasites* Mill.-ის არეალი, როგორც „საბჭოთა კავშირის ფლორა“ მიუთითებს, ძირითადად შუა-ევროპულია; რაც შეეხება *Nardosmia*-ს გვარი ჰოლარქტიკული ტიპის არეალით ხასიათდება, ამ გვარის სახეობები გვხვდება ევრაზიაში, ჩრდ. ამერიკაში, იაპონიაში, სახალისზე, კურილის კუნძულებზე, ჩინეთსა და მონღოლეთში. ეს გვარები ეკოლოგიურადაც განსხვავდებიან. გვ. *Petasites* Mill.-ის წარმომადგენლები ტყის სარტყლის მცენარეებია, ხოლო გვ. *Nardosmia* Cass.-ის წარმომადგენლები ტუნდრისა და მაღალმთის სახეობებია.

კავკასიაში გვ. *Nardosmia* Cass.-ის ერთი წარმომადგენელი გვხვდება: *Nardosmia Fominii* Bordz. ეს სახეობა მთავარი კავკასიონის ენდემია, გვხვდება რაკა-ლეჩხუმში, სამხრეთ-ოსეთსა და მთიულეთში—ალპურ სარტყელში. ამ ორი მახლობელი გვარის წარმომადგენლები ადრე გაზაფხულზე



ყვავის; ახასიათებთ საყვავილე და ვეგეტატიური ნაწილების სპეციალური სტრუქტურით. მთავარად, მთებსა და ტუნდრაში მოზარდ სახეობებს ვეგეტატიური ნაწილები—ფოთლების სახით შემცირებული აქვს. *Nardosmia Fominii* Bordz. ახლოს დგას *Nardosmia saxatilis* Turcz. თან.—ამ გვარის შედარებით ფართოდ გავრცელებულ სახეობასთან, რომელიც მთელ არეალზე (დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, შორეული აღმოსავლეთი, ჩრდილო მონღოლეთი, ჩრდ. აღმოსავლეთი ჩინეთი) აგრეთვე ალპურ სარტყელში გვხვდება ძირითადად.

ამ ორი გვარის სახეობათა არეალის განხილვისას უკვე შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ მათი წარმოშობა მცენარეთა არქტო ალპურ ჯგუფს უკავშირდება წინა გვარებისაგან განსხვავებით.

გვ. *Corydalis Medic.*

ხმელთაშუაზღვეთში ცენტრალურ, ჩრდილო და აღმ. აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში მოზარდი 100 სახეობიდან კავკასიაში 11 იზრდება. ამთგან *Corydalis persica* Cham. et Schlecht, *Corydalis nariniana* A. Fed. და *Corydalis erdelii* Zucc., რომლებიც სექცია *Leonticoides* DC არიან გაერთიანებული, შუა აზიურ სახეობებს ენათესავენ—გვხვდებიან სომხეთში და ა. გროსპეიმის მიხედვით არეალთა ატროპატანულსა და მცირე აზიის გეოგრაფიულ ტიპს მიეკუთვნებიან. ჩვენთანაც შედარებით დაბლა გვხვდებიან.

Corydalis marschalliana(Pall) Pers. ტყეებშია გავრცელებული. სექცია გაერთიანებულია *Radix cava*-ში. ვარდა *Corydalis Marschalliana* (Pall.) Pers.-სი ამ სექციაში გაერთიანებულია *Corydalis cava* M. Pop.-ც, რომელიც ევროპაშია გავრცელებული, ხმელთაშუაზღვეურ სახეობას წარმოადგენს და დეზურას კავკასიურ სახეობებს თალიშიში გავრცელებული *C. Marschalliana* (Pall.) Pers. v. *pseudocava* Grossh. სახესხვაობით უკავშირდება. ხოლო *Corydalis nudicaulis* გვხვდება შუა აზიაში პამირო-ალაის მთებში თიხნარ ნიღბებზე თოვლის პირას.

ჩვენი მთების ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში გვხვდება ამ გვარის რამდენიმე სახეობა. ესენია: *Corydalis caucasica* DC. *Corydalis vitae* Kolak., *Corydalis angustifolia* (M. B.) DC, და *Corydalis alexeenkoana* N. Busch., რომლებიც მონათესავე სახეობებს წარმოადგენენ და ევროპისა და შუა აზიის ტყის სარტყელში გავრცელებულ სახეობებთან დგანან ახლოს. ზოგი მათგანი ენდემურია (*Corydalis alexeenkoana* N. Busch., *C. vitae* Kolak. რაც შეეხება სექცია *Dactylotuber* Rupr.-ის წარმოადგენლებს, *Corydalis conorrhiza* Ldb., *C. alpestris* C. A. M. და *C. emanueli* C. A. M.) ჩვენ ალპებში გავრცელებულ სახეობებს წარმოადგენენ. მათ შორის ადრე გაზაფხულზე—მაისში ყვავის *Corydalis conorrhiza* Ldb. გვხვდება ბალკანეთში, მცირე აზიასა და კავკასიაში. მისი მახლობელი სახეობა *Corydalis alpestris* C. A. M. გვხვდება ბალკანეთის, მცირე აზიისა და პიმალაის მთებში. *Corydalis conorrhiza* Ldb. რამდენიმე ვარიაცია კავკასიიდან ცნობილი, ზოგიერთი მათგანი ცალკე სახეობადაც იყო გამოყოფილი.

აქაც გვარის ფარგლებში გვხვდება ადრე გაზაფხულის სახეობები, რომლებიც შედარებით მშრალ გარემოში ვითარდებიან (სომხეთი) და გვარის შუააზიურ სახეობებს ენათესავენ.



სახეობათა მეორე ჯგუფი მთების შუა და ზემო სარტყლის ტყეებში გვხვდება როგორც კავკასიაში, ისე მთელ არეალზე ევროპასა და აზიაში. რაც შეეხება ჩვენი ალპების ადრე გაზაფხულის დეზურას *C. conorhiza* DC, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალკანეთ მცირე აზიის დეზურებთან იჩენს გენეზურ კავშირს, ჩვენთან კი ფორმათწარმოქმნის პროცესშია — იგი შედარებით ახალ სახეობას უნდა წარმოადგენდეს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1) მცენარეულობის ამა თუ იმ ტიპთან დაკავშირებული ეფემერები ძირითადად მცენარეულობის ამ ტიპთან არიან დაკავშირებული სახეობის მთელ არეალზე.

2) აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი ფორმაციების ეფემერთა სინუსიის წარმომადგენლები გენეზურად ძირითადად ხმელთაშუა ზღვების მცენარეულობასთანაა დაკავშირებული.

3) კავკასიაში საკმაოდ გვხვდება ეფემერების ენდემური სახეობები — განსაკუთრებით ალპურსა და სუბალპურ სარტყელში, რომლებიც აგრეთვე გენეზურ უძველეს კავშირებს ამკლავებს ევროპისა და აზიის ალპურ სახეობებთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ეფემერობისათვის შესაბამისი სასიცოცხლო ფორმები, ხოლო შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი გავრცელება. ამაზე განსაკუთრებით მიუთითებს გაზაფხულის მცენარეთა საკმაოდ დიდი ენდემიზმი კირქვიანებზე, — სადაც ხშირია ვიკარული სახეობები.

4) აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეულობის მშრალ ტიპებში ეფემერები ფართოდაა გავრცელებული. რა თქმა უნდა, ველებისა და ნახევრად უდაბნოების ეფემერები მოკლე სავეგეტაციო პერიოდის ზეგავლენით უნდა იყოს წარმოქმნილი, მაგრამ აქ უკვე გადაწყვეტი მალალი ტემპერატურაა. მართალია სკრიპჩინსკები მიუთითებენ, რომ მალალი ტემპერატურა ეფემერების ზრდა-განვითარებაზე გავლენას არ ახდენსო, მაგრამ ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების პირობებში, სადაც მცენარეული უშუალოდ განიცდიან მის მოქმედებას, ამ ფაქტორის გამორიცხვა შეუძლებელია, რადგან მალალ ტემპერატურასა და დიდ სიმშრალეს ვადაიტანს სახეობები, რომლებიც უკეთესადაა შეგუებული ამ პირობებთან ბოლქვების, ფესურებისა და სხვა სამარავო ნაწილების სახით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში ადრე გაზაფხულის მცენარეთა ჯგუფი პეტეროგენული წარმოშობისაა და როგორც ჩანს ევოლუციის ისტორიულ პროცესში ყალიბდებოდა, ხდებოდა შერჩევა სახეობებისა, რომლებიც ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდს და ნაირგვარ კლიმატსა და ეკოლოგიურ პირობებს ეგუებოდნენ, რამაც განაპირობა მცენარეულობის სხვადასხვა ტიპში ამ სინუსიის არსებობა.

Д. А. ОЧИНАРИ

ВЕСЕННЯЯ ФЛОРА ГОРНЫХ РАЙОНОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В работе дается характеристика и ритм развития весенней флоры Восточной Грузии в связи с ландшафтно-геоботаническими поясами.

На основе критического обзора существующей литературы и данных ареалогического анализа некоторых ранневесенних родов, автор приходит к выводу, что состав этой флоры гетерогенного происхождения.

1. ლ. კეცხლარიანი-ნათაძე. ოჯახი Ranunculaceae Juss. საქ. ფლორა. ტ. 4, თბილისი, 1948.
2. ნ. კეცხოველი. თბილისის მიდამოების გაზაფხულის პირველი მცენარეულობა. თბილისი, 1924.
3. ნ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. თბილისი, 1935.
4. ნ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი, 1960.
5. საქართველოს ფლორა. ტ. I—VIII, თბილისი, 1941—52.
6. დ. ოჩიაური. მასალები ფშავ-ხევსურეთის ფლორის შესწავლისათვის. თბილისი, 1965.
7. ა. ხარაძე. გვარი Adoxa L. საქართველოს ფლორა, VIII, თბილისი, 1952.
8. ა. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. ტ. 1, თბილისი, 1926.
9. И. Я. Акинфиев. Альпийские растения Центрального Кавказа. Тифлис. 1896.
10. Н. А. Буш. Сем. Ranunculaceae. Определитель растений Крыма и Кавказа. Тифлис, 1919.
11. Н. А. Буш. Сем. Ranunculaceae. Материалы для флоры Кавказа, ч. III, вып. 3 Юрьев. 1901—03.
12. Г. Вальтер и В. Алексин. Основы ботанической географии. М.-Л., 1936.
13. И. Т. Васильченко. Значение морфологии прорастания семян для систематики растений и истории их происхождения. Труды Бот. Инст. АН СССР, сер. I, вып. 3. М.-Л., 1936.
14. И. Т. Васильченко. О значении морфологии прорастания филогенетической систематики цветковых растений. Советская ботаника. М.-Л., 1938. № 3.
15. В. Р. Вильямс. Почвоведение, ч. I, изд. 3-е, 1926. стр. 149—150.
16. П. Л. Горчаковский. Синузия весенних раноцветущих растений в горных лиственных лесах Сибири. докл. АН СССР, т. 60, № 3, М.-Л., 1948.
17. Т. К. Горышина. Экспериментально-экологический анализ сезонной ритмики ранневесенних дубравных эфемероидов. Ботан. журн. СССР. II. М.-Л., 1963.
18. А. А. Гроссгейм. Анализ флоры Кавказа. Тр. Бот. инст. Азербайджанск. филл. АН СССР, т. I, Баку, 1936.
19. А. А. Гроссгейм. О географическом распространении однодольных по Кавказу. Сбор. посвящ. президенту АН СССР В. Л. Комарову. М.-Л., 1939.
20. А. А. Гроссгейм. Флора Кавказа. 2-е изд. т. I, 1939; II, 1940; III, 1945; IV—1950; V—1952; VI—1961.
21. А. А. Гроссгейм. Определитель растений Кавказа. М., 1949.
22. А. А. Гроссгейм. Растительный покров Кавказа. Изд. Моск. общ. Исп. природы. М., 1948.
23. Б. Ф. Добринин. Физическая география СССР. Европейская часть и Кавказ. Изд. 2. М., 1948.
24. А. Г. Еленевский. О некоторых (критических) растениях Закавказья. Ботан. матер. герб. Бот. инст. им. Комарова, т. 21. 1961.
25. Н. А. Качинский. Замерзание, разморозание и влажность почвы в зимний сезон в лесу и на полевых участках. М., 1927.
26. Е. Г. Кениг. Материалы для фитофенологии Кавказа. Труды Тифл. Бот. сада. т. XI, вып. 2 и т. XII, вып. 3, Тифлис, 1910.
27. А. В. Кожевников. О перезимовке и ритме развития весенних растений липового леса. Бюлл. Моск. о-ва испытателей природы, т. XL, вып. 1—2. 1931.
28. А. В. Кожевников. Материалы по экологии буковых лесов Западного закавказья. Советская ботаника 5. М.-Л., 1935.
29. А. В. Кожевников. Некоторые закономерности сезонного развития растительных ассоциаций. Учен. зап. Моск. Гос. Ун-та. М.-Л., 1937. вып. II.
30. А. В. Кожевников. Весна и осень в жизни растений. М.-Л., 1939.
31. მუზეუმის მოამბე ა.



31. Л. В. Коробова-Семенченко. О подснежном развитии *S. Halleti* Willd. Научн. Докл. высш. школы Биолог. Наук. 1960.
32. Л. В. Кудряшов. Дополнения к книге А. А. Кожевникова: «По тундрам, лесам, степям, пустыням, 1951.
33. Л. А. Куприянова. Род. Нардосмия — во флоре СССР. XXVI. М.-Л., 1961.
34. Е. И. Лапшина. О перезимовывании высших растений по наблюдениям в окрестностях Петергофа. Тр. Петергофск. ест. науч. ин-та. 1928. вып. 5.
35. В. Н. Любищенко и Е. Вульф. Ранние весенние растения, М., 1926.
36. А. Н. Мелниченко. К экологии опылителей раннецветущих растений. Матер. к изучению природ. Зап. обл. Фауна и экология. Сб. статей. Смоленск. 1934.
37. П. И. Мищенко. Род *Merendera*. Fl. cauc. crit. П. 1912.
38. П. И. Мищенко. К систематике и географии некоторых родов сем. *Liliaceae* (*Lilium*, *Fritillaria*). Тр. бот. музея Акад. Наук, вып. VIII. 1911.
39. С. Г. Наринян. Некоторые данные по фенологии высокогорной растительности Армении. Тр. молод. научн. работн. посвящ. XX годовщ. комсомола. Изд. Арм. фил. АН СССР, 1939.
40. П. Н. Овчинников. Род. чистяк — *Ficaria*. Dill во флоре СССР. VII. М.-Л., 1937.
41. Д. А. Очиаури. Заметка о распространении *Adoxa moschatelina* L. на Кавказе. Заметки по сист. и геогр. раст. Тбилиск. бот. Инст. АН СССР, вып. 24. Тбилиси. 19.
42. М. Г. Попов. Заметка о роде *Corydalis* DC. Бот. мат. Герб. бот. инст. АН СССР. XV. М.-Л., 1953.
43. Т. А. Попова. Фенологическое развитие лилиецветных в Центр. Казахстане. Бот. журн. 48. 9. 1963.
44. М. Н. Прозина. Зимний рост у птицемлечника *Ornithogalum umbellatum* L. докл. АН СССР новая серия, т. LXIV, № 6. 1949.
45. Е. И. Проскоряков. Температурные условия прорастания семян весенних многолетников. Изв. Главн. Бот. сада СССР, т. XXV. вып. 1, 1926.
46. Е. И. Проскоряков. О происхождении однолетних эфемеров. Узбек. Гос. инстит. Труды биолог. почвенного факультета, новая серия, вып. 43. 1950.
47. А. А. Федоров. Альпийские ковры Кавказа и их происхождение. Изв. Арм. Фил. АН СССР № 9, 1942.
48. Т. А. Работнов. Биологические наблюдения на субальпийских лугах Северного Кавказа, Бот. Журн. т. 30. № 4. М.-Л., 1945.
49. И. Г. Серебряков. О ритме сезонного развития растений подмосковных лесов. Вестник Московского ун-та. № 6. М.-Л., 1947.
50. И. Г. Серебряков. Структура и ритм в жизни цветковых растений. Бюлл. Моск. общ. исп. Природы, т. LIII, вып. 2. 1948.
51. И. Г. Серебряков. Структура и ритм в жизни цветковых растений. Бюлл. Моск. общ. исп. природы, вып. 1. 1949.
52. И. Г. Серебряков. Биолого-морфологический и филогенетический анализ жизненных форм покрытосеменных. Учен. записки Моск. городск. Пед. инст. т. 37. вып. 2. М. 1954.
53. И. Г. Серебряков. Морфология вегетативных органов высших растений. Москва, 1952.
54. И. Г. Серебряков. Основные направления эволюции жизненных форм у покрытосеменных растений. Бюлл. Моск. о-ва исп. природы. т. 50. вып. 3. М.-Л. 1955.
55. И. Г. Серебряков и Т. И. Серебрякова. О двух типах формирования корней у травянистых многолетников. Бюлл. Моск. общ. исп. природы. вып. 2. М., 1965.



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

56. В. В. и Вл. В. Скрипчинский. Влияние пониженной температуры на рост и развитие весенне цветущих растений Северного Кавказа и вопрос об их происхождении. Ботан. журн. № 7. М.-Л., 1961.
57. Д. И. Сосновский. О нескольких новых видах и формах Армянской флоры. Труды бот. сада АН Арм. ССР, т. II, Ереван, 1949.
58. Д. И. Сосновский. Очерк весенней растительности Центральной мугани. Вести. Тифл. Бот. Сада. 19. Тбилиси, 1911.
59. Н. Срединский. Результаты полугодовых исследований. Протоколы Новороссийск. общ. естеств. 1874.
60. В. Н. Сукачев, Дендрология с основами лесной геоботаники 2-е изд. М.-Л., 1938.
61. А. И. Толмачев. К истории развития и географического распространения рода *Dryas* L. бот. журнал т. XII. № 9, 1957. М.-Л.
62. Т. Т. Трофимов. К вопросу о ритме развития ранневесенних растений Н. метод. зап. Гл. упр. Заповед. вып. V. М. 1939.
63. Т. Т. Трофимов. К вопросу о ритме развития ранневесенних растений. Науч. Метод. записки Гл. упр. заповед. вып. I. М., 1940.
64. Т. Т. Трофимов. Вегетативное размножение хохлатки Галлера (плотной) *Corydalis Halleri* Willd. Бюлл. Моск. о-ва исп. прир. вып. 3. М., 1952.
65. Н. А. Тройцкий. К биологии цветения некоторых Кавказских представителей порядка *Liliiflorae*. Вести. Тифл. Бот. Сада, вып. 49. Тифлис, 1920.
66. Е. И. Устинова. Ритм развития конуса нарастания в луковичках пролески (*Scilla sibirica* L.) в осенне зимнее время Докл. АН СССР, новая серия. т. LXIV, № 6. М.-Л., 1949.
67. М. М. Шик. Сезонное развитие травянного покрова дубравы. Уч. зап. М. Г. П. И. им. В. И. Ленина, т. 73, каф. ботаники. вып. 2. 1956.
68. Б. К. Шишкин. Сем. *Adoxaceae* во флоре СССР, XXIII. М.-Л., 1958.
69. Е. Г. Черняковская. Род *Merendera* Ram. во флоре СССР, т. IV, М.-Л., 1935.
70. А. Л. Харадзе. Очерк флоры субнивального пояса Верхней Сванетии. Зам. по сист. и геогр. растений бот. инст. АН СССР, вып. 12. Тбилиси, 1944.
71. С. С. Харкевич, Ширяш Крымский *Eremurus tauricus* Stev. на Кавказе. Ботан. журнал т. XL. 2. М.-Л., 1964.
72. А. П. Хохряков. Новый вид хохлатки с горы Ачшихо. бюлл. гл. бот. сада, вып. 56, М.-Л., 1964.
73. E. Boissier. Flora orientalis I, Genevae et Basileae, 1867.
74. E. Boissier. Flora orientalis III. Genevae et Basileae, 1875.
75. G. F. Ledebour. Flora rossica, II. Stutgartiae, 1844—46.
76. G. F. Ledebour. Flora rossica, IV. Stutgartiae, 1853.
77. Marschall a Bieberstein, Flora taurico caucasica I. Charkoviae, 1808.
78. Marschall a Bieberstein, Flora taurico caucasica II. Charkoviae, 1808.
79. E. Regel. *Bulbocodium persicum*. Garten-flora, 1881.

3. პანაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში
დაცული კავკასიის ფლორის ავთენტები

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ოჯახის 20 სახეობის კავკასიის ფლორის ავთენტური ნიმუშების აღწერა. მათში ოთხი ოჯახის (*Dioscoriaceae*, *Iridaceae*, *Orchidaceae*, *Chenopodiaceae*) წარმომადგენელთა ავთენტური ნიმუშების დახასიათება პირველად ქვეყნდება, ხოლო დანარჩენი ორი ოჯახიდან (*Gramineae*, *Liliaceae*), მოგვყავს იმ სახეობების ავთენტური ნიმუშების აღწერა, რომლებიც ამ უკანასკნელი ოჯახების ავთენტების გამოქვეყნების შემდეგ გამოვლინდა [1, 2, 3].

ქვემოთ მოგვყავს ავთენტური ნიმუშების ვრცელი დახასიათება და მათი ფოტო-სურათები.

1. ოჯახი *Gramineae* Juss.— მარცვლოვანი.

1. *Alopecurus tiflisiensis* (Westb.) A. Grossh. in Sched. ad Herb. Pl. or. exsicc. III (1924) 15. — *A. vaginatus* spp. pubescens var. *Tiflisiensis* Westb., Tr. Юр. Бор. Сада, т. V (1905) 23. კლასიკური ადგილსამყოფელი: თბილისის მიდამოები.

Locus classicus: In vicin. Tbilissi.

იზოტიპი: ექს. n° 51. ამიერკავკასია. თბილისი, კლდეებზე. 20. IV. 19; შემგრ. ა. გროსჰეიმი, დატულია თბილისში, საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 51. Transcaucasia. Tiflis in rupestribus. 20. -IV—19. Leg. A. Grossheim (*locus classicus*), in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საჰერბარიუმო ნიმუში № 2631. სურ. 1.

ორი მცენარე თითო 37,41 სმ სიმაღლის დამავრებულია საჰერბარიუმო ფურცელზე. მცენარეებზე თითო თავთავი და რამდენიმე ფოთოლია.

საჰერბარიუმო ფურცელზე, ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ეტიკეტია, რომელზედაც დაბეჭდილია: „Grossheim A. et Schischkin B. Pl. or. exs. F. III. n° 51. *Alopecurus tiflisiensis* (Westb.) Grossh.—*A. vaginatus* Pall. ssp. *pubescens* Westb. var. *tiflisiensis* Westb. in A. H. Bot. Univ. Jurjew. t. V (1905) 23. Transcaucasia. Tiflis. in rupestribus. 20—IV—19. Leg. A. Grossheim (*locus classicus*). Ar. geogr. Iberia caucasica.



ეტყეპტზე აღნიშნულია კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 20 და საინვენტარო ნომერი 2631.

შენიშვნა: 1924 წელს ექსიკატის სახით № 51, გამოქვეყნდა ახალი სახეობა *Alopecurus tiflisiensis* (Westb.) Grossh. ადრე ეს სახეობა ცნობილი იყო, როგორც სახესხვაობა *Alopecurus vaginatus* ssp. *pubescens* var. *tiflisiensis* Westb.

საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში ინახება *Alopecurus tiflisiensis*-ის იზოტოპი (ექსიკატი № 51).

შემოაღნიშნული სახეობა იზრდება კლდოვანსა და ქვიან ადგილებში ზღვის დონიდან 500—3000-მ სიმაღლეზე.

გვხვდება საქ. სსრ (აფხაზეთი, ქართლი); აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ.

2. *Calamagrostis teberdensis* Litw.

in Schedae ad Herb. Fl. Ross. VII (1911) 83.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თებერდა

Locus classicus. Teberda

იზოტოპი: ექს. n° 2196, ყუბანის ოლქი (კავკასია), თებერდის ჩანჩქერთან.

23. VII. 1905. შემგვ. ლიტვინოვი. დაცულია თბილისში, საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 2196. Prow. Kuban (Caucasus). Ad torrentum Teberda 1905. VII. 23. Leg. Litwinow, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 53, სურ. 2.

აღნიშნულ საპერბარიუმო ფურცელზე დამატებულია ერთი მცენარე, რომლის სიმაღლე 135 სმ აღწევს. ერთი ეტიკეტი მოთავსებულია საპერბარიუმო ფურცლის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს, რომელზედაც დაბეჭდილია: „Herbarium Florae Rossica, a Museo Botanico Academ. Imper. Sc. Petropolitanae editum. n° 2196. *Calamagrostis teberdensis* sp. n.“.

შემდეგ მოცემულია სახეობის ლათინური დიაგნოზი.

ეტიკეტზე მუზეუმის შტამპია წარწერით: „Museum Caucasicum“.

საპერბარიუმო ფურცელზე აღნიშნულია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 53.

შენიშვნა: ლიტერატურული წყაროების მონაცემებით და საპერბარიუმო ნიმუშების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სახეობა *Calamagrostis teberdensis* Litw. დადგენილია დ. ლიტვინოვის მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან (ყუბანის ოლქი, თებერდა). აღნიშნული სახეობის ავთენტური ნიმუში გამოცემულია ექსიკატი n° 2196-ის სახით, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პერბარიუმში.

შემოაღნიშნული სახეობა იზრდება ტყის სარტყელში მდინარის ნაპირებზე. გვხვდება საქ. სსრ (რაჭა-ლეჩხუმი, სამხრეთ ოსეთი) და იმიერ-კავკასიაში.

3. *Scleropoa Woronowii* E. Hackel

in G. Woronow et A. Schelkownikow. Sched. Herb. Fl. Cauc., II—IV (1914) 27.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი: ტბა შორაგიოლის მახლობლად (მილის ველი).



Locus classicus: Aserbajdshania, circa lacum Šor-giol (Steppa Mil)

იზოტიპი: ექს. n° 56, ელიზავეტპოლის ოლქი (ამჟამად კიროვობადი) რაიონი, მილის ველი; ტბა შორგიოლის მახლობლად. 5(18) V. 1911. ვ. ვორონოვი, დაცულია თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 56. Prov. Elisabethpol (nunc Kirovobad). Distr. Suša. Steppa Mil, in arenosis salsuginosis circa lacum Šor-giol (Karabagh). 5 (18). V. 1911. fl., leg. G. Woronow, in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საჰერბარიუმო ნიმუში № 31, სურ. 3.

ოთხი მცენარე მოთავსებულია საჰერბარიუმო ფურცელზე. მათი სიმაღლე 3—11 სმ ფაგრლებში მერყეობს. მცენარეები ჰერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი.

საჰერბარიუმო ფურცელზე მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტია. რომელზედაც აღნიშნულია: „G. Woron. et A. Schelkown. Herb. Fl. Cauc. n° 56. Scleropoa Woronowii E. Hackel n. sp. შემდეგ მოყვანილია სახეობის პირველადი დიაგნოზი ლათინურ ენაზე. აქვე პირველადი შემოსულობის ნომერია 15—12.

საჰერბარიუმო ნიმუშზე ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს დაწერილია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 31.

შენიშვნა: 1911 წელს გ. ვორონოვის მიერ აზერბაიჯანში, შორგიოლის ტბის მახლობლად შეკრებილი მასალების მიხედვით კ. პაკელმა აღწერა ახალი სახეობა *Scleropoa Woronowii* E. Hackel. ამ სახეობის ავთენტური ნიმუშები 1914 წელს გამოიკა ექსიკატის n° 56 საბით [39]. ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში (სახეობის ვრცელი დიაგნოზი ლათინურ ენაზე მოცემულია ექსიკატის ეტიკეტზე).

სახეობა *Scleropoa Woronowii* E. Hackel. იზრდება ქვიშნარ და ქვიშნარ-ბიციბიან ადგილებზე.

გვხვდება აზერბაიჯანის სსრ.

2. ოჯახი *Liliaceae* Hall. — შროშანისებრნი

4. *Gagea Chanae* A. Grossh. in Schedae ad Herb., Plant. orient. exs. fasc. I—VIII (1924) 16.—*G. pusilla* (non R. et Sch.) auct. fl. cauc. mult.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თბილისი.

Locus classicus: Tbilissi.

იზოტიპი: ექსიკატი n° 55. ამიერკავკასია, თბილისი, ბუჩქნარებში. 12—III—23. შემგრ. ა. გროსჰეიმი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 55. Transcaucasia Tiflis, in fruticetis. 12—III—23. Leg. A. Grossheim, in herbario. Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საჰერბარიუმო ნიმუში № 162, სურ. 4.

სამი მცენარე თითო 8, 10, 14 სმ სიმაღლის, დამაგრებულია საჰერბარიუმო ფურცელზე, მცენარეები ჰერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი.



საპერბარიუმო ფურცელზე მარცხენა მხარეს ორი ეტიკეტია. პირველი ეტიკეტზე (ქვედა) დაბეჭდილია: «Grossheim A. et Schischkin B. Plantae orientales exiccatae. n° 55. *Gagea Chanae* Grossheim sp. nova». შემდეგ მოცემულია სახეობის პირველადი დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გავრცელება. ეტიკეტზე კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერია 219—29.

საპერბარიუმო ნიმუშზე მუზეუმის ინვენტარის ნომერია 162.

შენიშვნა: 1924 წელს ა. გროსჰეიმმა გამოაქვეყნა ახალი სახეობა *Gagea Chanae* A. Grossh. საპერბარიუმო ნიმუშები, რომელთა მიხედვით დადგენილია ეს სახეობა, შეგროვილი იყო მის მიერ 1923 წელს თბილისის მიდამოებში [32].

აღრე ამ სახეობას კავკასიის ფლორის ავტორები თვლიდნენ, როგორც *Gagea pusilla* Roem. et Schult.

ეს უკანასკნელი სახეობა ძირითადად გავრცელებულია ევროპაში, დასავლეთ ციმბირში, შუა აზიაში და კავკასიის ჩრდილო ნაწილში — იშვიათად. ეს სახეობა ახლო მონათესავეა *G. Chanae*-ს, მაგრამ მისგან განსხვავდება, როგორც მორფოლოგიური ნიშნებით, ასევე გავრცელების არეალით.

სახეობა *G. Chanae* A. Grossh.-ის ავთენტური ნიმუშები გამოცემულია ექსიკატი n° 55-ის სახით, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

სახეობა *Gagea Chanae* Grossh. იზრდება მთის შუა სარტყლის ბუნებრივად და მინდვრებში.

გვხვდება ამიერკავკასიაში; საქ. სსრ (ქართლი); აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ.

5. *Gagea Germainae* Grossh.

In Schedae ad Herb. «Pl. orient. exicc. fasc. I—VIII (1924) 10.—

G. erubescens (non Bess.) Misch. in Fl. Cauc. cr. II (1912) 4.—

Gagea pusilla (non R. et Sch.) auct. fl. cauc. pp.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თბილისის მიდამოები (კუს ტბა).

Locus classicus: In vicin. Tbilissi (Kus tba).

იზოტიპი: ექსიკატი n° 30, ამიერკავკასია, თბილისი, ნათესებში. 12—III—23. შემგრ. ა. გროსჰეიმის, დაკულია თბილისში. საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 30. Transcaucasia. Tiflis. inter segetes. 12—III—23.

Leg. A. Grossheim, in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 149. სურ. 5.

აღნიშნულ საპერბარიუმო ფურცელზე დამაგრებულია ორი მცენარე; თითო მათგანის სიმაღლე 8,12 სმ უდრის. მცენარეები პერბარიუმში საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი.

საპერბარიუმო ფურცელზე ორი ეტიკეტია: პირველ ეტიკეტზე (ქვედა) წერია: «Grossheim A. et Schischkin B. Plantae orientales exiccatae. n° 30. *Gagea Germainae* Grossheim. sp. nova.

შემდეგ მოყვანილია სახეობის პირველადი დიაგნოზი, ეტიკეტზე კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერია 219—29.

მეორე ეტიკეტზე (ზედა) ა. გროსჰეიმის ხელით დაწერილია: «*Gagea Germainae* Grossh». დაბეჭდილია: „A. Grossheim. 1932.“



საპერბარიუმო ნიმუშზე აღნიშნულია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 154. **შენიშვნა:** სახეობა *Gagea Germainae* A. Grossh. ფლორის ავტორების მიერ სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი.

1924 წელს ა. გროსჰეიმმა ექსიკატის n° 30-ის სახით გამოაქვეყნა ახალი სახეობა *Gagea Germainae* A. Grossh. საპერბარიუმო ნიმუშები, რომლის საფუძველზე დადგინდა ზემოხსენებული სახეობა, შვედრული იყო ა. გროსჰეიმის მიერ 1923 წელს თბილისის მახლობლად, კუს ტბის მიდამოებში [32].

შემდგომში კავკასიის ფლორის მკვლევარები ამ მცენარეს ამ უკანასკნელი სახელწოდებით იხსენიებენ.

აღნიშნული სახეობის ავთენტური ნიმუშები, როგორც ზემოთაა მოხსენიებული, გამოცემულია ექსიკატი n° 30, რომლის ერთი ეგზემპლარი (იზოტიპი) ინახება საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

იზრდება ნათესებში, ბალახოვან ფერდობებსა და ტყის პირებზე ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე.

გვხვდება ამიერკავკ.; საქ. სსრ (ქართლი); აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ.

6. *Gagea Helenae* A. Grossh.

In Grossheim A. et Schischkin B. Schedae ad Herb. «Pl. orient. exsicc., 1—VIII (1924) 21. — *G. erubescens* (non Besser) Misch. in Fl. cauc. cr. II, 4 (1912) 150.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თბილისის მიდამოები (კოჯორი, უძო).

Locus classicus. In vicin. Tbilissi (Kodzori, Udzo).

იზოტიპი: ექსიკატი n° 78, ამიერკავკასია. თბილისი. მთა უძო, 4000, ბუჩქნარებში 10—VI—22. შემგრ. ა. გროსჰეიმის, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 78. Transcaucasia. Tiflis, in monte Udzo, 4000, in fruticetis, 10—IV—22. Leg. A. Grossheim, in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 154. სურ. 6.

ერთი მცენარე 14 სმ სიმაღლის მოთავსებულია საპერბარიუმო ფურცელზე. აღნიშნულ ნიმუშზე ორი ეტიკეტია. პირველ ეტიკეტზე (ქვედა) დაბეჭდილია: «Grossheim A. et Schischkin B. Plantae orientales exsiccatae. n° 78. *Gagea Helenae* Grossheim».

აქვეა სახეობის პირველადი დიაგნოზი, მეორე ეტიკეტზე (ზედა) ა. გროსჰეიმის ხელით დაწერილია: «*G. Helenae* Grossh.», დაბეჭდილია: „A. Grossheim. 1932».

საპერბარიუმო ნიმუშზე მოცემულია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 154.

აღნიშნულ პერბარიუმში ინახება აგრეთვე ბ. შიშკინის მიერ 1922 წელს კლასიკურ ადგილსამყოფელიდან შვედრული საპერბარიუმო ნიმუში ნომერი 155, შემდეგი შინაარსით: «Prov. et distr. Tiflis. In silvis caedius montis Ker-ogly prope Kodzory. 9—IV—1922. Leg. B. Schischkin. Det. A. Grossheim. 1925.

შენიშვნა: სახეობა *G. Helenae* A. Grossh. დადგენილია ა. გროსჰეიმის მიერ თბილისის მიდამოებში 1922 წელს შვედრული მასალების მიხედვით. ახალი სახეობის საპერბარიუმო ნიმუშები კლასიკური ადგილსამყოფელი-



დან გამოცემულია ექსიკატი n° 78-ის სახით [32], რომლის ერთი ეგზემპლარი (იზოტიპი) ინახება საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

აღრე ამ სახეობას, კავკასიის ფლორის ავტორები ევროპულ სახეობად *Gagea erubescens* Besser-ად თვლიდნენ [4, 12, 24].

სახეობა *Gagea Helenae* A. Grossheim. იზრდება მთის შუა სარტყლის ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე.

გვხვდება საქ. სსრ (ქართლი); იმიერკავკასიაში და აზერბაიჯანის სსრ. კავკასიის ფლორის ენდემური სახეობაა.

7. *Gagea tenuifolia* (Boiss.) Fomin. in Фомин и Воронов. Определ. растен. Крыма и Кавказа 1 (1909) 233. — *Gagea reticulata* var. *tenuifolia* Boiss. Flora Orient., V (1884) 208.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანის სსრ; ხანლარი და კიროვბადი (ყოფილი ჰელენენდორფი და ელისავეტპოლი).

Locus classicus: Aserbaidshania. Chanlar et Kirovbad (Olim Helenendorf et Elisavetpol).

იზოტიპი: ჰელენენდორფი. n° 1537; შემგვრ. ჰოპენაკერი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: Helenendorf. n° 1537; leg. Hohenacker, in herb. Musei Georg. in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 7526, სურ. 7.

ერთი მცენარე სიმაღლით 18 სმ, დამაგრებულია საპერბარიუმო ფურცელზე. მცენარეზე ფოთლები, ერთი ყვავილი და ბოლქვია დაცული.

საპერბარიუმო ფურცელზე ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტი, რომელზედაც ჰოპენაკერის ხელით დაწერილია: «*Gagea reticulata* Schult. Helenendorf. 1537.» მეორე ეტიკეტი მოთავსებულია მარჯვენა მხარეს შემდეგი წარწერით: «*Gagea tenuifolia* (Boiss.) Fom., A. Grossh. 1932».

საპერბარიუმო ნიმუშზე აღნიშნულია ინვენტარის ნომერი 7526.

შენიშვნა: სახეობა *Gagea tenuifolia* (Boiss.) Fomin პირველად დადგენილი იყო ბუასიეს მიერ 1884 წელს როგორც სახესხვაობა *Gagea reticulata* var. *tenuifolia* Boiss.

კლასიკური ადგილსამყოფელი: ჰელენენდორფი და ელიზავეტპოლი (ამჟამად ხანლარი და კიროვბადი) [30].

შემდეგში ა. ფომინმა ეს სახესხვაობა დამოუკიდებელ სახეობად მიიჩნია და 1909 წელს ყირიმისა და კავკასიის ფლორის მცენარეთა სარკვევში მოიყვანა *Gagea tenuifolia*-ის სახელწოდებით. სინონიმში მიუთითა ბუასიეს სახესხვაობა *G. reticulata* var. *tenuifolia* Boiss. [28]. ლიტერატურული წყაროებისა და საპერბარიუმო ნიმუშების შესწავლის შედეგად გამოირკვა რომ ზემოაღნიშნული სახესხვაობა დადგენილია ბუასიეს მიერ ჰოპენაკერის მასალების მიხედვით, რომლის ტიპი დაცულია ჟენევაში, ბუასიეს პერბარიუმში [24].

საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში ინახება ჰოპენაკერის საპერბარიუმო ნიმუში კლასიკურ ადგილსამყოფელოდან—ჰელენენდორფი, რომლის აღწერა სავსებით შეესაბამება პირველადი დიაგნოზის მონაცემებს, იმ განსხვავებით, რომ სახეობა განსაზღვრულია ა. გროსჰეიმის მიერ.



ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ეს უკანასკნელი საპერბარიუმო ნიმუში ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია იზოტიპად ჩაითვალოს.

სახეობა *Gagea tenuifolia* (Boiss.) Fom. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში მშრალ ქვიან ფერდობებსა და ბუჩქნარებში. გვხვდება ალმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში: საქ. სსრ (ქართლი, ქიზიყი); აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ.

საერთო გავრცელება: ირანი.

8. *Merendera Raddeana* Regel, Gartenfl. (1881) 293; Miscz. Fl. cauc. crit. II (1912) 94—95.

კლასიკური ადგილსამყოფელი: მთა სავალანი.

Locus classicus: m. Sawalan.

იზოტიპი: სავალანი. 20 ივნისი, 1880, შემგრ. გ. რადე, დაცულია თბილისში. საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: Sawalan. 20 jun. 1880; leg. Radde, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 7313. სურ. 8.

შვიდი მცენარეა დამატებული საპერბარიუმო ფურცელზე. თითოეული მათგანის სიმაღლე 7—13 სმ ფარგლებში მერყეობს.

საპერბარიუმო ფურცელზე ორი ეტიკეტია. პირველ ეტიკეტზე (ქვედა) წერია: «Herbarium Caucasicum. *Merendera caucasica* M. B. M. Raddeana Rgl. Sawalan. 20 Jun. 1880; leg. Radde».

მეორე ეტიკეტზე (ზედა) პ. მიშჩენკოს მიერ დაწერილია: «*Merendera Raddeana* P. Mischz». აქვეა პატარა ეტიკეტი წარწერით: «Isotypus!»

საპერბარიუმო ფურცლის ქვედა ნაწილში მოთავსებულია ქალაქის პარკი, რომელშიც მცენარის ნაწილებია მოთავსებული; მუზეუმის შტამპია წარწერით: «Museum Georgicum» და აღნიშნულია საინვენტარო ნომერი 7313.

შენიშვნა: სახეობა *Merendera Raddeana* Rgl. დადგენილია 1881 წელს რეგელის მიერ რადეს მასალების მიხედვით; კლასიკური ადგილსამყოფელი: მთა სავალანი [24, 37].

აღნიშნული სახეობის ტიპი დაცულია ლენინგრადში აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში.

საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში ინახება ტიპის დუბლიკატი (სახეობა განსაზღვრულია გ. რადესა და პ. მიშჩენკოს მიერ).

სახეობა *Merendera Raddeana* Rgl. იზრდება სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე, ზღვის დონიდან 3100 მ-მდე.

გვხვდება საქ. სსრ (იმერეთი, გურია, ქართლი—ლომის მთა; ფშავ-ხევსურეთი); აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ.

საერთო გავრცელება: თურქეთის სომხეთი (ყარსის მხარე); ჩრდ. ირანი.

9. *Seilla Hohenackeri* Fisch. et Mey. in Hohenacker. Enum. Talysch. (1838) 26. Boiss. Fl. or. V, 227. — *S. cernua* var. *pluriflora* Ldb. Fl. Ross. IV (1853) 157.



კლასიკური ადგილსამყოფელი: თალიში.

Locus classicus: Talysch.

იზოტიპი: ამიერკავკასია, ლენქორანი, აპრილი, № 2662, შემგრ. ჰოპენაკერი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: Transcaucasia, Lenkoran, № 2662, april; leg; Hohenacker, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 176, სურ. 9.

ქალაქის პარკში მოთავსებულია რამდენიმე ფოთოლი, ყვავილი და ბოლქვის ნაწილები. ეტიკეტი მოთავსებულია საპერბარიუმო ქალაქის ქვედა ნაწილში მარცხნივ, რომელზედაც აღნიშნულია: „№ 2662, Ex herbario horti Petropolitani. Scilla Hohenackeri Fisch. et Mey. Transcaucasia. Lenkoran. mens. April. Hohenacker».

მეორე ეტიკეტზე (მარცხნივ) დაბეჭდილია: «Teste: P. Mischtschenko».

საპერბარიუმო ნიმუშზე აღნიშნულია საინვენტარო ნომერი 176.

შენიშვნა: 1838 წელს ფიშერმა და მეიერმა ჰოპენაკერის მასალების მიხედვით გამოაქვეყნეს ახალი სახეობა *Scilla Hohenackeri* F. et M.-ის სახელწოდებით. კლასიკური ადგილსამყოფელი — თალიში [33].

აღნიშნული სახეობის ტიპი (ჰოპენაკერის საპერბარიუმო ნიმუში № 2662) ინახება ლენინგრადში, აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში.

თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში ინახება ჰოპენაკერის საპერბარიუმო ეგზემპლარი № 2662, რომლის აღწერა საეხებით ემთხვევა ტიპური ნიმუშის მონაცემებს, იმ განსხვავებით, რომ სახეობის სახელწოდება და ეტიკეტის შინაარსი დაწერილია ჰოპენაკერის მიერ. ამიტომ მისი იზოტიპად მიჩნევა ჩვენ შესაძლებლად ვცანით.

აღნიშნული სახეობა იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებსა და ტყის პირებზე ბუჩქნარებში.

გვხვდება აზერბაიჯანის სსრ (თალიში). საერთო გავრცელება: ირანი.

3. ოჯახი: **Dioscoriaceae** Lindl.

10. **Dioscorea caucasica** Lipsky, Зап. Киевск. Общ. естеств., XIII. 1 (1894) 143.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აფხაზეთი — ახალი ათონი

Locus classicus: Abchasia. Nov. Athon.

იზოტიპი: სოხუმის მარა. მონასტერი ახალი ათონი. 22. VI. 1891. შემგრ. ვ. ლიპსკი. დაცულია თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: Prov. Suchum. Monast. Nov. Athon 22. VI. 1891; leg. W. Lipsky, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 220, სურ. 10.

აღნიშნული სახეობის ავთენტურა ეგზემპლარი შეიცავს ერთ საპერბარიუმო ფურცელს.

საპერბარიუმო ფურცელზე დამაგრებულია ორი ლერო, თითო ზომით 18, 35 სმ. ლეროებზე ფოთლები და თესლებია.

საპერბარიუმო ფურცლის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს, მოთავსებულია ერთი ეტიკეტი, რომელზედაც ავტორის ხელთ დაწერილია: «*Dioscorea*



Caucasica Lipsky. 1891. 22. VI. Мон. Новый Афн. (Сухуმი) B. Липский». დაბეჭდილია: «Herbarium Universitatis imperialis Wladimiri Kiew». აღნიშნული ეტიკეტის გვერდით, მარჯვენა მხარეს მოთავსებულია ბ. გრინვეცის ხელათ დაწერილი ეტიკეტი, რომელზედაც ვითხოვლობთ: «*Dioscorea caucasica* Lipsky. teste: B. Hryniewiczchi».

შენიშვნა: ლიტერატურული წყაროების მონაცემებით დასაქვრბარიუმო ნიმუშების შესწავლის შედეგად ვაირკვა, რომ სახეობა *Dioscorea caucasica* Lipsky, დადგენილია ვ. ლიპსკის მიერ აფხაზეთიდან—ახალი ათონის მიდამოებში მის მიერ 1891—92 წლებში შეგროვილი მასალების მიხედვით [16]. ზემოხსენებული სახეობის ტიპი ინახება ლენინგრადში, აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში; საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში და ცული ავთენტური ნიმუში წარმოადგენს ტიპის დუბლიკატს — იზოტიპს.

იზრდება კავკასიის დასავლეთ ნაწილის დაჩრდილულ ტყეებში.

გვხვდება საქ. სსრ (აფხაზეთი) და იმიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში.

4. ოჯახი *Iridaceae* Lindl. — ზამბახისებრნი.

11. *Iris Camillae* A. Grossh, in A. Grossheim et B. Schischkin. Plantae orientales exiccatae 1928.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი, ტბა კაზან-გელი.

Locus classicus: Azerbajdzhan, lacum Kazan-gel.

იზოტიპი: ექსიკ. № 357, ამიერკავკასია. აზერბაიჯანი. ვანჯის მხარა, ყაზახის რაიონი. ტბა კაზან-გელის მახლობლად. 29. IV. 1928. შემგრ. ა. კოლაკოვსკი, დაცულია თბილისში, საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: exs. № 357. Transcaucasia. Azerbajdzhan, prov. Gardzha (nunc. Kirovobad), distr. Kazach, prope lacum Kazan-gel, in lapid. 29. IV. 1928.; leg. A. Kolakovskiy, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საქერბარიუმო ნიმუში № 199. სურ. 11.

აღნიშნულ საქერბარიუმო ფურცელზე მოთავსებულია ერთი მცენარე, სიმალით 29 მ. საქერბარიუმო ფურცლის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტი, რომელზედაც დაბეჭდილია: A. Grossheim et B. Schischkin. Plantae orientales exiccatae 1928. № 357. *Iris (Onocyclus) Camillae* A. Grossheim sp. nova». ამ წერწერის შემდეგ მოცემულია სახეობის ლათინური დიაგნოზი და გავრცელება. აქვე კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 218—29.

საქერბარიუმო ფურცელზე აღნიშნულია ინვენტარის ნომერი 199.

შენიშვნა: სახეობა *Iris Camillae* A. Grossh. დადგენილია ა. გროსჰეიმის მიერ. საქერბარიუმო ეგზემპლარები, რომლის მიხედვით ავტორმა აღწერა ზემოხსენებული სახეობა, ა. კოლაკოვსკის შეუგროვებია აზერბაიჯანში, ტბა კაზან-გელის მახლობლად.

ა. გროსჰეიმმა ამ სახეობის საქერბარიუმო ნიმუშები კლასიკური ადგილსამყოფელოდან გამოსცა ექსიკატის № 357-ის სახით [32], რომლის ერთი ეგზემპლარი დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.



სახეობა *Iris Camillae* A. Grossheim იზრდება მთის ტყეში, მშრალ ადგილებზე.

აზერბაიჯანის სსრ ენდემური სახეობაა.

12. *Iris lycotis* G. Wor., in Извест. Кавк. Музея, т. IX (1915) 35.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი, ნახიჭევანის ასსრ დარი-დალის მთა.

Locus classicus: Aserbajdzhan, resp. auton. Nachitschevan, m. Darry-dagh.

ტიპი: აზერბაიჯანი. ნახიჭევანის რაიონი (ყოფილი ერევნის ოლქი) მთა დარი-დალი, 23. V. 1914; შემგრ. და გამრკვევი გ. ვორონოვი, დაცულია თბილისში, საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში¹.

Typus: Aserbajdzhan, distr. Nachitschevan (Olim prov. Erivan). Montes Darry-dagh, 23. V. 1914; leg. et det. G. Woronow, in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 207.

სამი მცენარე თითო ზომით 28, 29, 40 სმ, დამაგრებულია საპერბარიუმო ფურცელზე. მცენარეებზე ფოთლები და ყვავილება.

საპერბარიუმო ფურცლის მარცხენა მხარეს (ქვედა ნაწილში), ერთი ეტიკეტია, რომელზედაც ვკითხულობთ: «Herbarium Musei caucasici. Flora caucasica. *Iris Lycotis* n. sp. Prov. Erivan, distr. Nachitschevan. Montes Darry-dagh. 23. V. 1914. leg. et det. G. Woronow».

ეტიკეტზე მოცემულია ავტორის საპერბარიუმო ნიმუშის ნომერი 13764 და კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 3—14. საპერბარიუმო ნიმუშზე აღნიშნულია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 207.

ზემოაღწერილი საპერბარიუმო ნიმუშის გარდა ამ ფონდში ინახება აგრეთვე აღნიშნული სახეობის კლასიკური ადგილსამყოფელოდან ორი საპერბარიუმო ნიმუში, ნომერი 205, 206.

შენიშვნა: სახეობა: *Iris Lycotis* G. Wor. დადგენილია გ. ვორონოვის მიერ, მთა დარი-დალზე შვედოვილი მასალების მიხედვით. აღნიშნული სახეობის ტიპი ინახება თბილისში, საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში მშრალ თიხნარ ადგილებში.

გვხვდება ნახიჭევანის ასსრ.

13. *Iris Medwedewii* Fomin, in Вестн. Тифл. Бот. сада, 14 (1909) 43.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თალიში, სოფ. კოსმალიანის მახლობლად.

Locus classicus: Talysch, prope pagum Kosmalian.

იზოტიპი: ლენქორანის მაზრა, ბაქოს გუბერნია, სოფ. კოსმალიანის მიდამოები (ზუვანტი). 21. VII. 1906; შემგრ. ა. შელკოვნიკოვი, გამრკვე. ფომინი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

¹ ტიპის საპერბარიუმო ნიმუშის ეტიკეტის შინაარსი და ფოტოსურათი გამოქვეყნებულია [3].



Isotypus : Prov. Lenkoran. Distr. Baku in vicin. pag. Kosmalan (საქართველოს მუზეუმი № 208. სურ. 12. ნაცრისფერ სქელ ქალაღზე მოთავსებულია ერთი მცენარე სიმაღლით 26 სმ. მცენარე პერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი. საქართველო ფურცელზე მარჯვენა მხარეს (ქვედა ნაწილში) ერთი ეტიკეტა შემდეგი შინაარსით: «Herbarium Musei Caucasici. Flora caucasica. Iris Medwedewi Fom. Окрестности сел. Космалян. Зувант. Ленкоранск. уезд, Бакинск. губ.; leg. A. Schelkovnikow. teste: Fomin. 21. VII. 1936.» ამ ეტიკეტის გვერდით მარცხენა მხარეს მოთავსებულია მეორე ეტიკეტი, რომელზედაც აღნიშნულია: «Iris Medwedewii Fomin. teste: G. Philippow.» საქართველო ფურცელზე მოცემულია საინვენტარო ნომერი 208.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : სახეობა *Iris Medwedewii* A. Fomin, დადგენილია ა. ფომინის მიერ შელკოვნიკოვის მასალების მიხედვით; კლასიკური ადგილსამყოფელია: თალიში, სოფ. კოსმალიანის მიდამოები [27]. აღნიშნული სახეობის ტიპი ინახება თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში.

საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში დაცული ავთენტური ეგზემპლარი წარმოადგენს ტიპის დუბლიკატს — იზოტიპს.

სახეობა *Iris Medwedewii* A. Fomin, იზრდება მშრალ კლდოვან ადგილებზე მთის სარტყელში.

გვხვდება აზერბაიჯანის სსრ (თალიში).

ს ა ე რ თ ო გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილოეთი ირანი.

14. *Iris pseudocaucasica* A. Grossh. in Вестн. Тифл. Ботан. сада в. 40—43 (1916) 11.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თალიში. ზუვანტი; სოფ. დიგას მიდამოები. *Locus classicus*: Talysch. Zuwant, in vicin. pag. Dygia.

იზოტიპი: თალიში, ზუვანტი; დიგია, მშრალ ფერდობზე; 24. IV. 1915; შემგრ. და გამრ.ვ. ა. გროსჰეიმი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: Talysch. Dygia, in declivibus siccis; 24. IV. 1915; leg. et det. A. Grossheim, in herbario Musei Georgii in Thbilissi conservatur.

საქართველო ნიმუში № 209. სურ. 13.

ერთი მცენარე სიმაღლით 15 სმ მოთავსებულია საქართველო ფურცელზე. ღეროზე ოთხი ფოთოლი და ერთი ყვავილია. მცენარე აღებულია ნაყოფობის პერიოდში. საქართველო ფურცლის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტა, რომელზედაც ეკითხულობთ: «Herbarium Horti Botanici Tiflisisensis. Iris pseudocaucasica Grossh. Talysch. Dygia. In declivibus siccis. 24. IV. 1915. Leg. et Det. A. Grossheim.» ეტიკეტზე მუზეუმის შტამპია წარწერით: «Museum Georgicum». მეორე შტამპი (წითელი მელნით) საქართველო ფურცლის მარჯვენა მხარესაა წარწერით: «Museum caucasicum». იქვე აღნიშნულია საინვენტარო ნომერი 209. პირველი ეტიკეტის ზემოთ მოთავსებულია პატარა ეტიკეტი წარწერით: «Isotypus.»

საქართველო ნიმუში № 209. სურ. 13.

ერთი მცენარე სიმაღლით 15 სმ მოთავსებულია საქართველო ფურცელზე. ღეროზე ოთხი ფოთოლი და ერთი ყვავილია. მცენარე აღებულია ნაყოფობის პერიოდში. საქართველო ფურცლის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტა, რომელზედაც ეკითხულობთ: «Herbarium Horti Botanici Tiflisisensis. Iris pseudocaucasica Grossh. Talysch. Dygia. In declivibus siccis. 24. IV. 1915. Leg. et Det. A. Grossheim.» ეტიკეტზე მუზეუმის შტამპია წარწერით: «Museum Georgicum». მეორე შტამპი (წითელი მელნით) საქართველო ფურცლის მარჯვენა მხარესაა წარწერით: «Museum caucasicum». იქვე აღნიშნულია საინვენტარო ნომერი 209. პირველი ეტიკეტის ზემოთ მოთავსებულია პატარა ეტიკეტი წარწერით: «Isotypus.»



შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ლიტერატურული წყაროების მონაცემებით, ა. გ. გუგუშვილი 1915 წელს თაღისში სოფ. დივიაში (ზუგდიდის რაიონი) შეგროვილი მასალების მიხედვით აღწერა ზამბახის ახალი სახეობა *Iris pseudocaucasica* და გამოაქვეყნა 1916 წელს [10].

შემდგომში კავკასიის ფლორის ავტორების მიერ ეს სახეობა ამ სახელწოდებით არის მოხსენებული.

აღნიშნული სახეობის ტიპი ინახება თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში.

საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში კი დაცულია ტიპის დუბლიკატი — იზოტიპი.

სახეობა *Iris pseudocaucasica* A. Grossh. იზრდება მთის შუა სარტყელში მშრალ ფერდობებზე.

გვხვდება აზერბაიჯანის სსრ (თალიში).

15. *Iris Schelkownikowii* Fom. in Фомин и Воронов. Определитель растений Кавказа и Крыма, вып. V (1909) 299.—*Iris acutiloba* C. A. M. var. *Schelkownikowii* Fomin. Тр. Тифл. Бот. Сада, вып. VI, книжка 3-я (1904) 44.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი, კარადეა-დაღი (ბოზ-დაღის ქედის მახლობლად).

Locus classicus: Aserbajdzhan. Karadsha-dagh (prope jugum Bos-dagh).

იზოტიპი: ელიზაბეტპოლის ოლქი (ამჟამად კიროვობადი), კარადეა-დაღი; 11. IV. 1902. შემგრ ა. შელკოვნიკოვი; გამრკვ. ა. ფომინი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: Prov. Elisabethpol (nunc Kirovobad). Karadsha — dagh; 11. IV. 1902; leg. A. Schelkownikow; det. A. Fomin, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 210. სურ. 14.

ორი მცენარე, თითო სიმაღლით 15, 20 სმ დამაგრებულია საპერბარიუმო ფურცელზე. მცენარეებზე ხუთი ფოთოლი და თითო ყვავილია.

საპერბარიუმო ფურცელზე ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტია, რომელზედაც ვკითხულობთ: «A. Schelkownikow. Herbarium Florae Areschensis prov. Elisabethpol. (Transcaucasia). *Iris Schelkownikowii* Fom. Караджа Даг. 11. V. 1902. teste A. Фомин». ეტიკეტზე აღნიშნულია კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 3—06. საპერბარიუმო ნიმუშზე მოცემულია მუზეუმის ინვენტარის ნომერი 210.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : სახეობა *Iris Schelkownikowii* Fom. პირველად აღწერილი იყო ა. ფომინის მიერ შელკოვნიკოვის მასალების მიხედვით აზერბაიჯანიდან, როგორც სახესხვაობა *Iris acutiloba* C. A. M. var. *Schelkownikowii* A. Fomin. კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი, კარადეა-დაღი.

შემდგომში ავტორმა ეს მცენარე მოიყვანა როგორც დამოუკიდებელი სახეობა *Iris Schelkownikowii*-ის სახელწოდებით და სინონიმში ზემოხსენებული სახესხვაობა მიუთითა [28].



კავკასიის ფლორის ავტორების მიერ ეს სახეობა ამ უკანასკნელი ^{სტრუქტურული} დებიტაა ცნობილი.

აღნიშნული სახეობის ტიპი ინახება თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში.

საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში კი ინახება ტიპის დუბლიკატი — იზოტიპი.

სახეობა *Iris Schelkownikowii* Fomin იზრდება მთის ქვედა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე.

აზერბაიჯანის სსრ ფლორის ენდემური სახეობაა.

16. *Iris Winogradowii* Fomin in G. Woronow et A. Schelkownikow. Herb. Fl. caucas. exs. n° 166 (1914).

კლასიკური ადგილსამყოფელი: ქართლი (ლომის მთა).

Locus classicus: Karthli (Lomis-mtha).

იზოტიპი: ექსიკატი n° 166. მცირე კავკასიონი. ლომის მთა. 28. IV. (11, V) 1913 შემგვ. ლ. მლოკოსიევიჩი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: exs. n° 166. Caucasi Minoris m. Lomis-mtha; 28. IV (11. V) 1913; leg. L. Mlokosiewicz, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 8778. სურ. 15.

საპერბარიუმო ფურცელზე მოთავსებულია ორი მცენარე, რომელთა სიმაღლე 12, 15 სმ. მცენარეები საკმაოდ სრულადაა ჰერბარიუმში წარმოდგენილი.

საპერბარიუმო ფურცელზე მარცხენა მხარეს ერთი ეტიკეტია, რომელზედაც მოცემულია მცენარის პირველადი დიაგნოზი და კლასიკური ადგილსამყოფელი.

საპერბარიუმო ნიმუშზე მოცემულია ინვენტარის ნომერი 8778.

ეტიკეტზე აღნიშნულია კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 114—14.

შენიშვნა: სახეობა *Iris Winogradowii* Fomin პირველად შეაგროვა ვინოგრადოვ-ნიკიტინმა ქართლში ლომის მთაზე, მაგრამ მას არ აღუწერია. შემდგომი ლ. მლოკოსიევიჩის მიერ ლომის მთაზე შეგროვილი მასალების მიხედვით ა. ფომინმა აღწერა ზამბახის ახალი სახეობა და ვინოგრადოვის პატივსაცემად მისი სახელი უწოდა. 1914 წელს ვრცელი ლათინური დიაგნოზით ექსიკატის n° 166 სახით გამოქვეყნდა (39).

აღნიშნული სახეობის ტიპი დაცულია თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში, იზოტიპის ერთი ეგზემპლარი ექსიკატი n° 166, ინახება საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

სახეობა *Iris Winogradowii* Fomin, იზრდება სუბალპურ სარტყელში. გვხვდება საქართველოს სსრ (აფხაზეთი, გაგრის მასივი); ქართლი (ლომის მთა).

საქართველოს ფლორის ენდემური სახეობაა.

5. ოჯახი: *Orchidaceae* Lindl. — ჯადვარისებრნი

17. *Orchis Schelkownikowii* G. Woron. in Извест. Кавк. Музея, т. IV (1909) 266.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აზერბაიჯანი, სოფ. ახ-სუს მახლობლად.

Locus classicus: Aserbaidzhan, prope pag. Ach-su.



ტიპი: ბაკოს ოლქი. შემახის რაიონი. სოფ. ახ-სუ (ხანლიხი) 1901. შემგრ. შელკოვნიკოვი, შმიდტი, ბელიავსკი. გამრკვევი: გ. ვორონოვი. ცულაია თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში².

Typus: Prov. Baku. Distr. Schemacha. Pag. Ach-su (Chanlich), 17. IV. 1901; leg. Schelkownikow, Schmidt, Beljavski; teste: G. Woronow, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 246.

საპერბარიუმო ფურცელზე მოთავსებულია ერთი მცენარე სიმაღლით 61 სმ. მცენარე აღებულია უფესვოდ. ღეროზე სამი ფოთოლია. მათი სიგრძე 8—13 სმ ფარგლებში მერყეობს. ღერო ყვავილით ბოლოვდება.

საპერბარიუმო ფურცლის მარჯვენა მხარეს (ქვედა ნაწილში) ერთი ეტიკეტია, რომელზედაც აღნიშნულია: «Herbarium Musei caucasici. Flora caucasica. Orchis Schelkownikowii n. nov. sp. Sed. Ax-su (Ханлых). Шемахинск. уезда. Бакинск. губ.; legit. Schelkown.; Schmidt, Beljavski. 17. IV. 1906. teste: G. Woronow.»

ეტიკეტზე აღნიშნულია კოლექციის პირველადი შემოსულობის ნომერი 22—06. იქვეა ინვენტარის ნომერი 246.

აღნიშნულ პერბარიუმში ინახება აგრეთვე ტიპის დუბლიკატი — იზოტიპი (საპერბარიუმო ნიმუში № 248).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახეობა *Orchis Schelkownikowii* Wor. დადგენილია გ. ვორონოვის მიერ, აზერბაიჯანიდან. „კლასიკური ადგილსამყოფელი: სოფ. ახ-სუს მიდამოები [8].

აღნიშნული სახეობის ტიპი და იზოტიპი ინახება თბილისში საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში, აქვე დაცულია აგრეთვე ავთენტური ნიმუშები, კოტიპის ორი საპერბარიუმო ნიმუში № 242, 247.

სახეობა *Orchis Schelkownikowii* G. Wor. იზრდება მთის შუა სარტყელში ბუჩქნართა შორის და ტყის პირებზე.

აზერბაიჯანის სსრ ენდემური სახეობაა.

18. *Orchis viridifusca* N. Alb. in Prodr. Fl. Colchicae. (1895) 229.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აფხაზეთი, ბზიფის ქელი; მთა აჩქვა, მამღზიშხა, არბიკა.

Locus classicus: Jugum Bzybicum, m. Aczkha, m. Mamdzyshka, m. Arbika.

იზოტიპი: აფხაზეთი. მთა აჩქვა, ალპური საძოვრები. მაისი, 1891. შემგრ. გამრკვ. ნ. ალბოვი, დაცულია თბილისში, საქართველოს მუზეუმის პერბარიუმში.

Isotypus: Abchasia. M. Atschkha, patur. alpin. Mai, 1891. Leg. et Det. N. Alboff, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 9168. სურ. 16.

აღნიშნულ საპერბარიუმო ნიმუშზე მოთავსებულია ერთი მცენარე, სიმაღლით 31 სმ. ღეროზე რამდენიმე ფოთოლი და ერთი კენწრული ყვავილია.

² ტიპის საპერბარიუმო ნიმუშის ეტიკეტის შინაარსი და ფოტოსურათი გამოქვეყნებულია [3].



საქერბარიუმო ფურცელზე ქვედა ნაწილში, მარჯვენა მხარეს ერთი მარჯვენა რომელზედაც ნ. ალბოვის ხელით დაწერილია: «N. Alboff. Plante d'Abkhazie (1888—1892). *Orchis viridifusca* n. sp. M. Atschkha, patur. alpin. Mai. 1891.

აქვე წითელი მელნით შტამბია წარწერით: «Museum Caucasicum».

ეტიკეტის ქვემოთ ქალაქის პარკია, რომელშიც მოთავსებულია ყვავილედის ნაწილები.

საქერბარიუმო ნიმუშზე აღნიშნულია საინვენტარო ნომერი 9168.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ნ. ალბოვმა აფხაზეთში ბზიფის ქედზე (მთა აჩქვა, მამზიშხა, არბიკა) 1891 წელს შეგროვილი მასალების მიხედვით აღწერა გვარ ჯადვარის ახალი სახეობა *Orchis viridifusca* N. Alb. და ლათინური დიაგნოზით 1895 წელს გამოაქვეყნა [6].

ლიტერატურული წყაროების მონაცემებით და საქერბარიუმო ნიმუშების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული სახეობის ტიპი ინახება თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში; საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში დაცული ავთენტური ნიმუში კი წარმოადგენს იზოტიპს. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფლორაში ს. ა. ნეესკის მიერ არასწორადაა მითითებული ამ სახეობის ტიპის დაცულობა ქენევაში [24]: ნ. ალბოვის მონაცემებით ტიპი ინახება თბილისში ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში, ხოლო ტიპის დუბლიკატი ქენევაში, ლენინგრადსა და საქართველოს მუზეუმში [6].

სახეობა *Orchis viridifusca* N. Alb. იზრდება სუბალპურ მდელოებზე, აგრეთვე მთის შუა სარტყლის ბუჩქნარებსა და ტყის პირებში.

გვხვდება საქართველოს სსრ: აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, ქართლი.

7. ოჯახი *Chenopodiaceae* Less. — ნაიკარქათამასებრნი

19. *Axyris caucasica* (Somm. et Lev.) Lipsky in Fl. Cauc. (1899) 430. — *A. sphaerosperma* var. *caucasica* Somm. et Lev. in A. H. P. XVI (1900) 399.

კლასიკური ადგილსამყოფელი: მთავარი კავკასიონის ქედი (თებერდა, იაღბუზი).

Locus classicus. Jug. Cauc. magni (Tieberda, Elbrus).

იზოტიპი: თებერდის გადასავალი, მდ. თებერდას და დო-უტს შორის; ყუბანის ოლქი, 1 სექტემბერი 1890. შემგვ. ს. სომიე და ი. ლევიე, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: In jugo Tieberdinski perival dicto, inter flumina Tieberda et Do-ut, ditionis Kuban, 1 sept. 1890; leg. Somm. et Lev. in herbario Musei Georgici in Tbilissi conservatur.

საქერბარიუმო ნიმუში № 334. სურ. 17.

სამი მცენარე სიმაღლით 13, 15, 16 სმ დამაგრებულია საქერბარიუმო ქალაქზე. მცენარეები ჰერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი.

საქერბარიუმო ფურცლის ქვედა ნაწილში (მარცხენა მხარეს) ერთი ეტიკეტი, რომელზედაც ვკითხულობთ: «S. Sommier et E. Levier. Her caucasicum (Europa). 1134. *Axyris Caucasica* (Somm. et Lev.) 1894. pro var. *sphaerospermae*) Lipsky: In jugo Tieberdinski perival dicto, inter flumina Tieberda et Do-ut, ditionis Kuban, in depremis pascum supra flumen Tieberda ets. 1600 m circ. (in tectis). 1 sept. 1890».



ეტიკეტზე შტამპია წარწერით: «Museum Caucasicum». იქვე მეორე მხარეს შტამპია: «Museum georgicum» და საინვენტარო ნომერი 334.

შენიშვნა: სომიემ და ი. ლევიემ მთავარ კავკასიონის ქედზე (თებერდა, იალბუზი) 1890 წელს შეგროვილი მასალების მიხედვით აღწერეს ახალი სახესხვაობა *Axyris sphaerosperma* var. *caucasica* Somm. et Lev. [38].

1899 წელს კ. ლიპსკიმ ეს სახესხვაობა გამოაქვეყნა, როგორც დამოუკიდებელი სახეობა *Axyris caucasica*-ს სახით და სინონიმში მიუთითა სომიესა და ლევიეს სახესხვაობა *Axyris sphaerosperma* var. *caucasica* S. L. [17].

აღნიშნული სახეობის ტიპი, დაცულია ფლორენციაში, ხოლო იზოტიპი ინახება ლენინგრადში, აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში და თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

სახეობა *Axyris caucasica* (S. L.) Lipsky იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყელში, ქვიან ფერდობებზე.

გვხვდება მთავარ კავკასიონის ქედზე.

20. *Salsola daghestanica* (Turcz.) Lipsky, in Acta Horti Petrop. XIV (1897) 295. — *Noaea daghestanica* Turcz. in Bge, Anab. rev. (1862) 926.

კლასიკური ადგილსამყოფელი: დაღესტანი (ტშირიურტი)

Locus classicus: Daghestan (Tschirjurt).

იზოტიპი: კავკასია. დაღესტანი. ტშირიურტი I. IX. 1895, შემგრ. ვ. ლიპსკი, დაცულია თბილისში საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: Caucasus. Daghestania, Tshirjurt. I. IX. 1895. leg. W. Lipsky, in herbario Musei Georgici in Thbilissi conservatur.

საპერბარიუმო ნიმუში № 11357, სურ. 18.

ღეროს ზედა ნაწილი (სიმაღლე 38 სმ), დამაგრებელია საპერბარიუმო ქალაღზე. ღეროზე ფოთლები და კენწრული ყვავილებია. ერთი ეტიკეტი მოთავსებულია საპერბარიუმო ფურცელზე ქვედა ნაწილში (მარცხენივ), რომელზედაც აღნიშნულია: «Ex herbario horti Petropolitani. *Salsola daghestanica* (*Noaea daghestanica*) Czern. Caucasus. Daghestania. Tshirjurt. IX. 1895; leg. W. Lipsky».

საპერბარიუმო ნიმუშზე შტამპია წარწერით: «Museum Georgicum» და ინვენტარის ნომერი 11357.

შენიშვნა: 1897 წელს ვ. ლიპსკიმ გამოაქვეყნა ახალი სახეობა *Salsola daghestanica* Lipsky, საპერბარიუმო ნიმუშები, რომლის მიხედვით დადგენილია ზემოხსენებული სახეობა, შეგროვილი იყო მის მიერ 1895 წელს დაღესტანში, ადგილსამყოფელი: «Tshirjurt».

სახეობა *S. daghestanica*-ს ტიპი ინახება ლენინგრადში, აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში. საქართველოს მუზეუმში კი დაცულია ტიპის დუბლიკატი — იზოტიპი.

იზრდება მშრალ თიხნარ და ქვიან ადგილებზე.

კავკასიის, კერძოდ დაღესტანის ასსრ ენდემური სახეობაა.

АВТЕНТИКИ ФЛОРЫ КAVKAZA ХРАНЯЩИЕСЯ В ГЕРБАРИИ
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

Резюме

В представленном труде дано описание автентичных образцов Кавказской флоры 6 семейств, 20 видов. Из них описание автентиков четырех семейств (*Dioscoreaceae*, *Iridaceae*, *Orchidaceae*, *Chepodiaceae*), впервые публикуется. Что касается автентичных образцов двух остальных семейств (*Gramineae*, *Liliaceae*), то приводятся те автентичные экземпляры, которые были выявлены после опубликования автентиков этих двух семейств (1, 2, 3).

Ниже приводим список автентиков (Описание автентиков дано на грузинском языке).

I. Сем. **GRAMINEAE** JUSS.

1. *Alopurus tiflisiensis* (Westb.) A. Grossh. Изотип, герб. лист. 2631, рис. 1.
2. *Calamagrostis teberdensis* Litw. Изотип, exs. n° 2196, герб. образец n° 53, рис. 2.
3. *Sclerogroa Wogonowii* E. Hackel. Изотип, exs. n° 56, герб. обр. n° 91, рис. 3.

II. Сем. **LILIACEAE** Hall.

4. *Gagea Chanae* A. Grossh. Изотип, exs. n° 55, герб. обр. n° 162, рис. 4.
5. *Gagea Germainae* A. Grossh. Изотип, exs. n° 30; герб. обр. n° 149, рис. 5.
6. *Gagea Helenaе* A. Grossh. Изотип, exs. n° 78; герб. обр. n° 154, рис. 6.
7. *Gagea tenuifolia* (Boiss.) Fomin. Изотип, герб. обр. n° 7526, рис. 7.
8. *Merendera Raddeana* Regel. Изотип, герб. обр. n° 7313, рис. 8.
9. *Scilla Hohenackeri* Fisch. et Mey. Изотип, герб. обр. n° 176, рис. 9.

III. Сем. **DIOSCORIACEAE** R. Br.

10. *Dioscorea caucasica* Lipsky. Изотип, герб. обр. n° 220, рис. 10



IV. Сем. IRIDACEAE Lindl.

11. *Iris Camillae* A. Grossh. Изотип. exs. n° 357, герб. обр. n° 199, рис. 11.
12. *Iris Lycotis* G. Woron. Тип. герб. обр. n° 207.
13. *Iris Medwedewii* Fomin. Изотип, герб. обр. n° 208, рис. 12.
14. *Iris pseudocaucasica* A. Grossh. Изотип, герб. обр. n° 209, рис. 18.
15. *Iris Schelkownikowii* Fomin. Изотип, герб. обр. n° 210.
16. *Iris Winogradowii* Fomin. Изотип, exs. n° 166, рис. 15.

V. Сем. ORCHIDACEAE Lindl.

17. *Orchis Schelkownikowii* G. Woron. Тип. герб. обр. n° 246.
18. *Orchis viridifusca* N. Alb. Изотип, герб. n° 168, рис. 16.

VI. Сем. CHENOPODIACEAE Lees.


19. *Axyris caucasica* (Somm. et Lev.) Lipsky. Изотип, герб. обр. n° 334, рис. 17.
20. *Salsola daghestanica* (Turcz.) Lipsky. Изотип, герб. обр. n° 11357, рис. 18.

ლიბრატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ვ. პაპაძეა. კავკასიის ფლორის შრომანისებრთა და მიხაკისებრთა ოჯახის აუტენტუკები საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—A, თბილისი, 1954.
2. ვ. პაპაძეა. კავკასიის ფლორის გეობრანიათა, მარტულოვანთა და ისლისებრთა ოჯახის აუტენტუკები. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—A, თბილისი, 1956.
3. ვ. პაპაძეა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკურ ფონდში დაცული ავთენტური ნიმუშები. თბილისი, 1962.
4. საქართველოს ფლორა. ტ. I, II, თბილისი, 1941.
5. საქართველოს ფლორა. ტ. III, თბილისი, 1948.
6. Н. Альбов. Материалы для флоры Колхиды. Тифлис—Женева, 1895.
7. Г. Вестберг. Род. *Aporocisus* на Кавказе. Труды Юрьевск. Ботан. Сада, т. V, в. I, Юрьев, 1904.
8. Ю. Воронов. О трех новых для флоры Кавказа Орхидеа. Изв. Кавказского Музея, IV, Тифлис, 1909.
9. Ю. Воронов. Новый вид касатика (*Iris* Linn.) из южного Закавказья. Известия Кавказского Музея, т. IX, Тифлис, 1915.
10. А. Гроссгейм. Заметки о некоторых новых для Кавказа видах. Вестн. Тифлисск. Ботан. Сада, в. 40—43. Тифлис, 1919.
11. А. Гроссгейм. Флора Кавказа, т. I, Баку, 1939.
12. А. Гроссгейм. Флора Кавказа, т. II, Баку, 1940.
13. А. Гроссгейм. Флора Кавказа, т. III, Баку, 1945.
14. А. Гроссгейм. Определитель растений Кавказа, Москва, 1949.
15. А. Гроссгейм. Флора Кавказа т. IV, Москва—Ленинград, 1950.
16. В. Липский. *Dioscorea Caucasica*. Новый вид Кавказской флоры. Зап. Киевск. общ. естест. XIII, I, Киев, 1894.
17. В. Липский. Флора Кавказа. С.-Петербург, 1899.
18. П. Мищенко. Сем. Лилейных. Материалы для флоры Кавказа II, Юрьев, 1912.




19. Д. Сосновский. Оригиналы и аутентики представителей флоры Кавказа. Вестник Госс. Музея Грузии, т. XII—А, Тбилиси, 1943.
20. Флора Азербайджана, т. I, Баку, 1950.
21. Флора Азербайджана, т. II, Баку, 1952.
22. Флора Азербайджана, т. III, Баку, 1954.
23. Флора СССР, т. II, Ленинград, 1934.
24. Флора СССР, т. IV, Ленинград, 1935.
25. Флора СССР, т. VI, Москва—Ленинград, 1936.
26. А. Фомин. Заметки и наблюдения относительно некоторых растений Кавказа. Труды Тифлисского Ботанического Сада, вып. VI, кн. 3. Тифлис, 1904.
27. А. Фомин. Несколько новых видов растений из Закавказья. Вестник Тифлисского Ботанического Сада, вып. II—15. Тифлис, 1909.
28. А. Фомин. Ю. Воронов. Определитель растений Кавказа и Крыма, т. I, вып. V, Тифлис, 1909.
29. E. Boissier, *Flora Orientalis*. t. I. Basileae et Genevae, 1857.
30. E. Boissier, *Flora Orientalis*. t. V. Basileae, Genevae, 1884.
31. F. Fischer, et C. Meier. Ex Hohenacker. Enum. plant. quas in itinere per provinc. Talysch coll. R. Fr. Hohenacker. Bull. Soc. Mosc. VI. Moscau, 1838.
32. A. Grossheim et B. Schischkin. Schedae ad Herbarium Plantae orientalis exicatae. Tiflis, 1924, 1928.
33. F. Hohenacker. Enumeratio Plantarum prov. Talysch. Moscau, 1838.
34. C. Ledebour. *Flora Rossica*, IV, Stuttgartiae, 1853.
35. D. Litwinow. Schedae ad Herb. Fl. Rossica, VII. St. — Petersburg. 1911.
36. W. Lipsky. *Florae Caucasicae imprimis Colchicae, novitates* 1895. Acta Horti Petrop. XIV. St.-Petersbourg, 1897.
37. E. Regel. *Plantarum diversarum in horto Imperiali petropolitano cultarum, descriptiones*. Ganteflora, Petropoli. 1881.
38. S. Sommier et E. Levier. *Enumeratio Plantarum anno 1890 in caucaso lectarum*. Acta Horti Petrop. XVI. Petropoli et Florentiae, 1900.
39. G. Woronow et A. Schelkownikow. Schedae ad Herbarium Florae Caucasicae, Fasc. II—IV, Tiflis, 1914.




1. *Alopecurus tiflisiensis* (Westb.) Grossh.




3. Scleropoa Weronowii E. Hackel.



4. *Gagea Chanae* Grossh.



5. Gagea Germanae A. Grossh.




Gagea Helenae Grossh.
A. Grossh.
1912


Grosshain A. et Schischkin B. *Flora meridionalis armenicae*.

78 *Gagea Helenae* Grosshain n. nov.
 P. 10 cm. alt. Radice caudice mucoso, caulis teres
 angustifolius, 2-3 mm. longis, glabris, strigatis. Folia
 cordata sive obcordata reflexo-anguste ovata longis
 nervis a pinnis. Perigonii phylla 10-12; corolla
 tubulosa, lobata, lobis 5. Antheris 10. Pedicellis
 erectis.
 Habitat in G. armenica (Bass.) Schult. pedunculata
 caulis herbis masculis, inflorescentia masculis etc.
 Transcaucasus, Tiflis, in monte Ullus, grossh. in fructibus.
 1912. A. Grosshain.
 An. 1912. Tiflis. Armenia.


6. *Gagea Helenae* A. Grossh.



7. *Gagea tenuifolia* (Boiss.) Fomin




8. Merendera Raddeana Regel




9. *Scilla Hohenackeri* Fisch. et Meyer




10. *Dioscrea caucasica* Lipsky



11. Iris Camillae A. Grossh.



12. Iris Medwedewii Fom.



13. *Iris pseudocaucasica* A. Grossh.



14. Iris Schelkownikowii Fomin



G. Wincow et A. Schrenkii

Herbarium Florae Caucasicae

106. *Iris (Xiphium) Wincgradwii* Fomin n. sp.

Descriptio

Radix lignosa, caulis teres, glaberrimus, cetera laevissima.

 Flos terminalis, corolla purpurea, tubo corollae glaberrima.

 Sepala glabra, lobis ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus

 ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus ovatis.

 Petala glabra, lobis ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus

 ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus ovatis.

 Ovaria glabra, lobis ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus

 ovatis, lobis exterioribus ovatis, lobis interioribus ovatis.

Habitat in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis


 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

Loca: Armenia, in caucasicis montibus, in caucasicis montibus, in caucasicis

 montibus, in caucasicis montibus, in caucasicis montibus.

TYPUS

15. *Iris Wincgradwii* Fomin



16. *Orchis viridifusca* N. Alb.



17. *Axyris caucasica* (Somm. et Lev.) Lipsky



18. *Salsola daghestanica* Lipsky

რ. ავალიანი

მასალები დასავლეთ საქართველოს წვირილი ძუძუმწოვრების
შესწავლისათვის

(საჩხერის რაიონი)

დღემდე დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) როგორც მთიანი, ისე დაბლობი ზონა მამოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. ეს განსაკუთრებით ითქმის წვირილ ძუძუმწოვრებზე (მწერიჭამიები, ხელფრთიანები, კურდღლისებრნი, მღრღნელები).

უმნიშვნელოა ამ ჯგუფის ძუძუმწოვრების ფაუნისტური მასალები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილების ფონდებშიც. ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვესწავლა იმერეთის სხვადასხვა რაიონის წვირილი ძუძუმწოვრების სახეობრივი შედგენილობა, გავრცელება და ეკოლოგია. საკვლევი ტერიტორიის რეგიონალურ-ფაუნისტური შესწავლა დავიწყეთ საჩხერის რაიონით და წინამდებარე ნაშრომში ვადმოცემულა სწორედ ამ რაიონის წვირილი ზომის ძუძუმწოვრების შესწავლის შედეგები.

კ. სატუნინი (1909) თავის ნაშრომში «Материалы к познанию млекопитающих Кавказского края и Закаспийской области» ეხება ქუთაისის ყოფილი გიმნაზიის მასწავლებლის ა. შუგუროვის მიერ ქუთაისის გუბერნიაში 1908 წელს შეგროვილ ხელფრთიანების, მწერიჭამიებისა და მღრღნელების მასალას. კ. სატუნინი წერს: „ძუძუმწოვრების შესწავლის თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნია თავისი უდიდეს ნაწილში დღემდე წარმოადგენს პირდაპირი გავებით «terra incognita»-ს, რის გამო ყოველგვარი მასალა, აქედან შეგროვებული, განძია ჩვენს წარმოდგენაში ძუძუმწოვრების გავრცელების შესახებ“.

აქედან გამომდინარე კ. სატუნინი საყურადღებოდ მიიჩნევს ა. შუგუროვის მიერ შეგროვილ წვირილ ძუძუმწოვრებს (8 სახის), ყვირილიდან, ქუთაისიდან, საღვ. რიონიდან, წყალწითელადან. ეს მასალებია: *Vespertilio murinus* L., *Rhinolophus hipposideros* Bechst., *Eptesicus serotinus* Schreb., *Pipistrellus pipistrellus* Schreb., *Erinaceus ponticus* Sat., *Crocidura güldenstaedti* Pall., *Talpa coeca caucasica* Sat., *Myoxus glis caspicus* Sat.

ამ მასალებიდან კ. სატუნინს ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია *Vespertilio murinus* L., რომლის ეგზემპლარები დასავლეთ ამიერკავკასიიდან ყოფილ კავკასიურ მუზეუმში მანამდე არ ყოფილა.

უფრო გვიან (1916), იმერეთის რამდენიმე ადგილიდან (დიმი, პატრიკეთი, ჯვარი, სორმონი, შორაბანი) წვირილი ძუძუმწოვრების მასალა მოუპოვებიათ ზობნინს, ბაშილოვას, ფეოდოროვს. ესენია: ტყისა და სახლის თაგვი, შავი და რუხი



ვირთავა, ღნავი და სხვ. მასალები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჭიჭილაძის
 გიის განყოფილებაში ინახება, სადაც დატულია აგრეთვე 1932 წელს ს. შატერაძის მიდამოებიდან მოპოვებული მასალებიც (ტყის თავი, სახლის თავი და სხვ.), სამ-
 წუხაროდ არ არის აღნიშნული შემგროვებლის გვარი.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საჩხერის რაიონის მოსახლურე ტერიტორი-
 ის (სამხრეთ ოსეთი) წვრილ ძუძუმწოვრებს, კერძოდ მღრღნელებს შეისწავლიდ-
 ნენ პროფ. ს. ოგნევი და ვ. გეპტერი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ზოოლოგიური ექსპედიცია). მასალები (ტყის თავები, ბუჩქის მემინდვრები,
 რობერტის მემინდვრები, ჩვეულებრივი მემინდვრები, ძილგულები, თოვლა მე-
 მინდვრები, წყლის მემინდვრები—სულ 217 ეგზემპლარი) შეუგროვებიათ ჯა-
 ვიდან, ცხინვალის მიდამოებიდან, წონადან, ერწოდან და სამხრეთ ოსეთის სხვა
 პუნქტებიდან.

1942 წლიდან სამხრეთ ოსეთის როდენტოფაუნას შეისწავლიდა მ. შილდოვ-
 სკი (1951), რომელმაც 19 სახის მღრღნელი გამოავლინა. ზემოაღნიშნული მა-
 სალები გარკვეულად გვეხმარებიან ზოგიერთი სახის წვრილ ძუძუმწოვართა
 არეალის დადგენაში.

ცალკეული მითითებები საკვლევი და მოსახლურე ტერიტორიების წვრილა
 ძუძუმწოვრების შესახებ გვხვდება კ. სატუნინის (1909), ა. ჯანაშვილის (1953,
